# სარბიელი

სპორტული გაზეთი   შაბათი 1 სექტემბერი 2001 №166 (1439)   ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიზნელე ქართული მოტივია

## დღეს მასპინძელი ლოკომოტივია?



ახალგაზრდა უნგრელი სტუმრები ქართველთა კართან თავს შინაურულად გრძნობდნენ

გუშინ საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა უნგრეთთან 0:2 წააგო. ალალად ვთქვათ, სხვა შედეგს არც ველოდით. ცხადია, ცუდია, როცა მატჩს ასეთი განწყობით ხვდები, მაგრამ თავის მოტყუებაც რომ ვერაფერი ნუგეშია, დაგვეთანხმებით. ერთი სიტყვით, ჩვენებურები ისევ ნულზე დარჩნენ და საქმეს და მათ თამაშს ისეთი პირი უჩანს, დარჩენილ ორ მატჩში, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ ქულ:ას გამოჰკრან ხელი.

მაშინ, როცა ახალგაზრდა უნგრელები „ეროვნულზე" ქართველ თანატოლებს აბითურებდნენ, მათმა უფროსმა კოლეგებმა „ლოკომოტივზე" ვარჯიში დაიწყეს, მაგრამ...

დღევანდელი საქართველო — უნგრეთის მასპინძელმა „ლოკომოტივმა" სტუმრებს თვალი ჩაუკრა და მერე საერთოდ ჩაბნელდა.

დაბნელებამდე სტუმრებმა მხოლოდ ნახევარი საათი წაივარჯიშეს და შუქის მოსვლას რომ არ დაადგა საშველი, უკმაყოფილოებმა დატოვეს ვაკის მიდამოები. ამ ამბავს კი, შესაძლოა, უნგრელთა პროტესტი მოჰყვეს და მერე რას გადაწყვეტენ უეფაში, ჯერ მხოლოდ ღმერთმა იცის. პროტესტი და ჩივილი უნგრელების საქმეა, ჩვენ კი ჩვენი ვიკითხოთ.

საქმე ისაა, რომ ჩაბნელებულ „ლოკომოტივს" გუშინ ვერაფრით უნამლეს და ფედერაციაში ზუსტად ისიც ვერ გვითხრეს, რომელი სტადიონი უმასპინძლებს დღევანდელ საქართველო — უნგრეთს.

# კალათბურთი

## სნაიპერი ერთხელ ისვრის

EUROBASKET 2001

*იგი მთელი მატჩის განმავლობაში ჩრდილში იყო და ხეირიანი არაფერი გაუკეთებია...*

*მას სროლა არ წაუვიდა — სამი სამქულიანიდან სამივე ააცილა...*

*მან ბოლო წამზე კიდევ ერთი სამქულიანი ესროლა...*

*ეს სამქულიანი თურქეთში გუშინ დაწყებული ევროპის ჩემპიონატის პირველი დღის ყველაზე ხმაურიანი გასროლა გამოდგა, ევროპის ჩემპიონის, იტალიის სიხარული ადგილზევე მოკლა, ხოლო სნაიპერის გუნდს სული ჩაუდგა და 83:82 მოაგებინა.*

*საბერძნეთის ნაკრების კაპიტანი ფრაგისკოს ალვერტისი არა მარტო ჩემპიონატის პირველი დღის, არამედ თავისი სამშობლოს გმირიცაა. მისმა გასროლამ საბერძნეთის გამარჯვება ყურადღების ცენტრში მოაქცია და სხვა ამბები დაჩრდილა. არადა, გუშინ ჩემპიონატზე სხვა საინტერესოც იყო: იუგოსლავია — ხორვატიის არშემდგარი ომი, საფრანგეთ — ისრაელის დამატებით დროში გადასული მატჩი, ლატვიის მიერ მასპინძელი თურქების კინაღამ ძლევა...*

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




საბერძნეთი — იტალია 83:82. ფრაგისკოს ალვერტისი საბერძნეთის გამარჯვებისას ესვრის

REUTERS

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი

## საქართველო 0:2 უნგრეთი

თბილისი. „ეროვნული". 3 000 (ტევადობა 70 900). 31 აგვისტო. 20 საათი

0:1 საბიჩი (39), 0:2 ფეპერი (62)

**საქართველო:** მერლანი, დეკანოსიძე, აბრამიძე, სალუქვაძე, ჯ. მუჯირი, ასათიანი, გ. კვარაცხელია, ადამია (ი. სამხარაძე 85), კორღალიძე (ახალკაცი 66), გაგუა (სვანაძე 46), მ. ბობოხიძე
სათადარიგონი: ლომაია, კაკაშვილი, ამისულაშვილი, ზაზაშვილი
**მწვრთნელი:** ვახტანგ კოპალეიშვილი

**უნგრეთი:** ტაკაჩი, დიეპეში, კოროლოვსკი, ფარკაში (ცაბოში 80), ლიოვი, ზ. ბოდნარი, ჰალმოში, ბოგაკი (ჰაინალი 56), საბიჩი, მ. ფეპერი, ტოკოდი (ბაიზატი 63)
სათადარიგონი: ბალოგი, ბოდორი, უდვარი
**მწვრთნელი:** იმრე დელეი

**გაფრთხილება:** სალუქვაძე (41), სვანაძე (65), ბაიზატი (66), დიეპეში (67), ფეპერი (80), ბაიზატი (88), ბობოხიძე (90)

**გაძევება:** ბაიზატი (88)

**მსაჯები:** ანდრეას გეორგიუ, ანტონის პაპაპანაიოტუ, ფრისოს პეტრუ გეორგიუს პაპუტსისი (ყველა კვიპროსი)

**უეფა-ს დელეგატი:** კარელ ბუნეკი (ჩეხეთი)

ჯარიმა: 18-20; კუთხური: 4-2; კარისკენ დარტყმა: 4-7; კარში დარტყმა: 5-5; თამაშგარე: 1-1


უნგრელებს თბილისში არც ჰაერში უჭირდათ

# მომავალი ნულზეა
## ახალგაზრდობა მალე დამთავრდა. სულ ათ წუთში

**ძალიან** ნაცნობი სურათი, დაზეპირებული სცენარი და როგორც მოსალოდნელი იყო, გულის გასახეთქი, მაგრამ ლოგიკური დასასრული... მიმიხვდებოდით ალბათ, ლაპარაკია ქართულ ფეხბურთზე და მის მომავალზე.

ჰო, გუშინ „ეროვნულზე" საქართველოს ნაკრების მომავალი თამაშობდა და, რა თქმა უნდა, ისევ წააგო. ქულათა გრაფაში ისევ ნული წერია და ჯერჯერობით იმის პერსპექტივა გაცილებით მეტია, ყველაფერი მთლად უსახელოდ დარჩეს.

სხვა გზა არ ჩანს, ფიფა-უეფას უნდა შევევედროთ, იქნებ ფეხბურთის წესებში ცვლილებები შეიტანონ და ტაიმების ხანგრძლივობა ათ წუთამდე დაიყვანონ. ქართველებს მეტი არ ძალუძთ, ფეხბურთს ათ წუთს თამაშობენ. ამ დროში რამდენიმე ლამაზი ილეთით ქომაგის გულს ახარებენ და მეტოქის კართან ერთ სახიფათო მომენტს ქმნიან, რომელიც, რა თქმა უნდა, ათიდან ცხრა შემთხვევაში გამოუყენებელია.

შემდეგი ათი წუთის მანძილზე ჩვენები შესაძლებლობათა ზღვარზე თამაშობენ, მეტოქეს უძალიანდებიან და ბოლო, ულონოდ რჩებიან. მერე... მერე არაფერი, მოწინააღმდეგე იწყებს ნამდვილი ფეხბურთის თამაშს, გაიტანს ერთს, ორს და ასე შემდეგ, რამდენიც საქმისთვის სჭირდება.

სტუმარი მუდამ განსწავლული და ორგანიზებული გვყავს. ჩვენი გუნდი არეულ-დარეული და ქაოსურად მობურთალი. შედეგიც შესაბამისია — არაფერი 0 ქულის გარდა.


ვახტანგ კოპალეიშვილმა და დავით გოგიამ სასიკეთო ვერაფერი ნახეს

კარგად გვესმის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე უშანსოდ და უმოტივოდ რომ დარჩა. მისასალმებელია ვახტანგ კოპალეიშვილის ჩანაფიქრი, მომდევნო გათამაშებისთვის ახალი გუნდის ჩამოყალიბებას რომ ითვალისწინებს, მაგრამ ძველი ფეხბურთელებით ახალი გუნდის კეთება აქამდე არსად გაგონილა. თანაც, ამდენი წაგება ისედაც შელახულ პრესტიჟს მთლად მიწასთანასწორებს.

უნგრელთა გუნდი გუშინ მთლად უნაკლო როდი იყო, მაგრამ განსწავლული და ორგანიზებული ნაკრების იერი დაჰკრავდა. მთლად საიმედოდ ვერ თამაშობდა სტუმართა მეკარე, დაცვაშიც იყო ნაპრალები და ნახევარდაცვასაც ჰქონდა ხარვეზები, მაგრამ ამით საქართველოს რა ხეირი?!

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე უნგრელთა თავკაცმა იმრე დელეიმ გაკვირვებულმა გვითხრა, არ მეგონა, თქვენები ასე თავისუფლად თუ გვათამაშებდნენო. სტუმრებმა ტემპს ვერ მოუმატეს, თორემ თავისუფლება მერე გენახათ.

დელეი უკმაყოფილო იყო თავისიანების გარჯით, ვარჯიშებზე გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენო. თანაც სტუმრებს საუკეთესო ფეხბურთელი ზოლტან დერო ჰკლებიათ. მოგების წინაპირობად უნგრელმა ნახევარდაცვის მობილურობა დაასახელა, თქვენს შუახაზს ვაჯობეთო.

უცნაურია, უნგრელთა ოთხკაციან ნახევარდაცვას კოპალეიშვილმა ხუთი ნახევარმცველი დაახვედრა, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო. ან ხუთი ზანტი ქართველი როგორ შეაჩერებდა ოთხ ათლეტურ და სწრაფ უნგრელს.

დიდი ხნის უთამაშებელმა გივი კვარაცხელიამ, ჩია კორღალიძემ და დეკანოსიძემ, ფიზიკურად სუსტმა გაგუამ და ასათიანმა ვერ დაჩაგრეს სტუმართა შუა ხაზი.

დაცვაში აბრამიძე, სალუქვაძე და ჯაბა მუჯირი იყვნენ გამწესებული. სამივე ისეთი მცველია, რომელსაც ჭკვიანი დამზღვევი სჭირდება, სხვაგვარად გოლი გარდაუვალია.

თავდასხმაში ბობოხიძემ და ადამიამ კი იმუშავეს, მაგრამ თითებზე დასათვლელი მომენტებიდან, გოლად ერთიც ვერ აქციეს. 90 წუთის მანძილზე ქართველებმა ერთხელ გაითამაშეს საზრიანი და გამართული კომბინაცია. დეკანოსიძემ კარგად შენიშნა საპირისპირო ფლანგზე ეულად მყოფი ახალკაცი და ზუსტი პასიც მიაწოდა. რომანმა ერთი შეხებით ბურთი საჯარიმოში შეჭრილ ასათიანს დაუგდო და მალხაზმაც დაარტყა, მაგრამ აშკარად ნიჭიერმა ქუთაისელმა ნახევარმცველმა, იმის შიშით, კარს არ ავაცილოო, მეკარეს მოარტყა ბურთი.

შეცდა ჩვენი მეკარე, დაცვა და ნახევარდაცვა, ვერ გაიტანა თავდასხმამ და შეცდა მწვრთნელიც, უპირველესად შემადგენლობის შერჩევისას. ტაბლო კი 0:2-ს ასხივებდა სტუმართა სასარგებლოდ და ეს არავის უკვირდა.

თამაშის შემდეგ ვახტანგ კოპალეიშვილმა წაგების მიზეზთა ლომის წილი საკუთარ თავზე აიღო, აღიარა სად და როგორ შეცდა. სამომავლო ნაკრებზე ილაპარაკა და შეგვპირდა, სულ სხვა გუნდს იხილავთო. ბოლოს თქვა, კლასით უკეთეს გუნდთან წავაგეთო.

მეტოქემ ყველაფერში გვაჯობა, ათლეტურად, ფიზიკურად, ტაქტიკურად და დისციპლინით. უკეთესი გუნდი იყო უნგრეთი, მაგრამ ჩვენზე ნიჭიერი მოთამაშეები მაინც არ ჰყავდათ. სამაგიეროდ, ისინი სწავლას არიან ჩვეულნი და არ ყოყლოჩინობენ. ვარსკვლავებადაც არ მოაქვთ თავი და უფროსისა ესმით.

ჩვენები კი, გადის წლები და ნიჭიერებად რჩებიან. მათ ვერ ამზადებენ ფიზიკურად, ტექნიკურად, ტაქტიკურად. შეცდა მეკარე და გოლი, შეცდა მცველი და გოლი... გოლი მხოლოდ საკუთარ კარში და გახარებული სტუმრები.

**გამუჭა ძგანტალიანი**

### ლიტვა 0:3 იტალია

0:1 ბონაცოლი (23), 0:2, 0:3 მაკარონე (24, 45პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 7 | 6 | 1 | 0 | 14:3 | 19 |
| უნგრეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:6 | 12 |
| რუმინეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:3 | 10 |
| ლიტვა | 7 | 2 | 0 | 5 | 4:13 | 6 |
| საქართველო | 6 | 0 | 0 | 6 | 4:12 | 0 |


ჟოლტ ლიოვმა (№5) და პეტერ ჰალმოშმა ლევან კორღალიძე ბურთან არ მიუშვეს


მიხეილ ბობოხიძეს ტამაშ ტაკაჩმა დაასწრო

### ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

**მოლდოვა 1:0 აზერბაიჯანი**
1:0 ს. ივანოვი (23)

**პოლონეთი 3:0 ნორვეგია**
1:0, 2:0, 3:0 რასიაკი (12, 22, 85პ)

**სლოვაკეთი 0:1 თურქეთი**
1:0 იოზგადლი (35)

**ბელარუსი 1:2 უკრაინა**
0:1 ვალეევი (8), 1:1 იურევიჩი (45), 1:2 ტკაჩენკო (65)

**ალბანეთი 3:0 ფინეთი**
1:0 მემელი (29), 2:0 კაცი (66), 3:0 ბულკუ (84)

**მალტა 2:2 ბულგარეთი**
1:0 მამო (55), 1:1 ბუკარიოვი (58), 2:1 ბარბარა (75), 2:2 კოლევი (85)

**ირლანდია 1:1 ჰოლანდია**
1:0 ბარეტი (9), 1:1 ვან დერ ვაარტი (13)

**დანია 2:0 ჩრდ. ირლანდია**
1:0 სკუბო (59პ), 2:0 მადს იორგენსენი (71)

**ისლანდია 0:1 ჩეხეთი**
0:1 ჟირანეკი (74)

**შვეიცარია 2:2 იუგოსლავია**
1:0 მელუნოვიჩი (34), 2:0 კაბანასი (37), 2:1 მარკოვიჩი (58), 2:2 ილიევი (72)

**გერმანია 1:2 ინგლისი**
0:1 ჯ. კოული (55), 1:1 მეცელდერი (90), 1:2 ჯეფერსი (90)

**უელსი 1:1 სომხეთი**
1:0 დეი (41პ), 1:1 ერზრუმიანი (68)

**შოტლანდია 1:1 ხორვატია**
0:1 მ. ბილიჩი (58), 1:1 კ. მილერი (90პ)

**ესპანეთი 2:0 ავსტრია**
1:0, 2:0 კოლ... (43, 45)

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**
VI ტური
ოსნაბრიუკი 1:2 აუე

### ინგლისი

**მეორე დივიზიონი**
V ტური
ნორთჰემპტონი 2:0 ბრაიტონი

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### აზია. II წრე

**A ჯგუფი. III ტური**

**საუდის არაბეთი 1:0 ერაყი**
1:0 ალ დოსარი (45)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაჰრეინი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| საუდის არაბეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ირანი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ერაყი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ტაილანდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

ტაილანდი — ირანი დღეს გაიმართება

**B ჯგუფი. III ტური**

**საამიროები 0:2 ყატარი**
0:1 ხალიფა (65), 0:2 ალი ალ ობაიდლი (71)

**ომანი 0:2 ჩინეთი**
0:1 კი ჰონგი (70), 0:2 ფან ჟიი (84პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| ყატარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:2 | 4 |
| საამიროები | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| უზბეკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ომანი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. VIII ჯგუფი. 1 სექტემბერი

# საქართველო — უნგრეთი

თბილისი. ლოკომოტივი. 21.00. ტევადობა 25 600

# გადავირევი!

## ნაკრების ფეხბურთელებმა ჩივაძე უსიამოვნოდ გააკვირვეს

**გუშინ** საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ბოლო ვარჯიში ჩაატარა უნგრელებთან მატჩამდე. ალექსანდრე ჩივაძემ „ლოკომოტივის" სტადიონზე გუნდი ზუსტად 19 საათზე გაიყვანა.

წვრთნას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაც დაესწრნენ.

ფეხბურთელებმა მოედანს ორი წრე შემოურბინეს და ამის შემდეგ ჩივაძემ შეგირდები ფიზმომზადების მწვრთნელს გადააბარა. ამ უკანასკნელს ფეხბურთელები 20 წუთის განმავლობაში ჰყავდა თავის განკარგულებაში.

შემდეგ ნაკრების თავკაცმა გუნდი ორად გაყო. მცველებს ნემსაძე, რეხვიაშვილი და კობიაშვილი დაამატა და პრესინგი დაავალა. ფეხბურთელებს მხოლოდ ორჯერ შეეძლოთ ბურთზე შეხება. მცველებმა თავდამსხმელები „გამოიჭირეს" და გვარიანად არბენინეს. თავდაუზოგავად იბრძოდა მილანელი კახა კალაძე მას მხარს გიორგი ნემსაძეც უბამდა.

ამასობაში ოთარ გაბელიამ მეკარეები — დავით გვარამაძე და გრიგოლ ჭანტურია დაიმარტოხელა. ისინიც მონდომებით ასრულებდნენ მწვრთნელის დავალებას.

ცოტა ხანში ჩივაძემ ფეხბურთელები მოედნის ცენტრში შეკრიბა და იქიდან კარში არტყმევინა. აქ კი ნათლად გამოჩნდა ნაკრების სუსტი წერტილი. ფეხბურთელები ან საერთოდ ვერ ახვედრებდნენ ბურთს კარის ჩარჩოში, ანაც ძალიან სუსტად ურტყამდნენ. „გადავირევი, გადავირევი! წარმოიდგინეთ, რომ თამაში მთავრდება და თქვენზეა დამოკიდებული ბოლო დარტყმა" — გასძახოდა ჩივაძე შეგირდებს, თუმც რად გინდა... ისე, ნათქვამია, სწავლა სიბერემდეო და იქნებ ოდესმე ჩვენებურებმაც ისწავლონ კარში ზუსტად და ძლიერად დარტყმა.

ამის შემდეგ ნაკრების თავკაცმა შეგირდები სტანდარტული მდგომარეობებზე წაავარჯიშა. მალე ფეხბურთელებმა ნახევარ მოედანზე ორკარაც გააჩაღეს. ჩივაძეს მთავარი აქცენტი მეტოქის მისსავე ნახევარზე პრესინგით შევიწროვებაზე ჰქონდა გადატანილი.

თამაშის დამთავრებასაც ბევრი არაფერი უკლდა, დიდად მოულოდნელი ამბავი რომ მოხდა: ალექსანდრე იაშვილი და შოთა არველაძე, ღმერთმა იცის, რაზე შელაპარაკდნენ და ერთმანეთზეც გაიწიეს. თანაგუნდელები დროულად ჩაერივნენ საქმეში და მცირე კონფლიქტიც იქვე ჩაიფარცხა.

ვარჯიშის ბოლოს ფეხბურთელებმა კარში ბლომად ურტყეს და „ლოკომოტივის" სტადიონიც მალევე დატოვეს.

დღეს კი მატჩია. ჩვენი შემარცხვენელი უნგრელები კვლავ გვემუქრებიან და საქართველოდან სამი ქულით გამგზავრებას აპირებენ.

ძალიან ნაცნობი სურათია.

**კახა ზალამბერიძე**
**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



ალექსანდრე იაშვილს (შუაში) მონდომება არასოდეს დაეწუნებოდა



კახა კალაძეს და მამამისს, კარლოს საფიქრალ-სალაპარაკო ბევრი აქვთ



შოთა არველაძე და მურთაზ ხურცილავა



ჩივაძემ თავისი გუნდი შემოიკრიბა

გიორგი ახვლედიანი

## სვეტი

# განწყობა

დღეს, კიდევ ერთხელ, ფეხბურთია.

საქართველოს ნაკრები პირველად თამაშობს „ლოკომოტივის" სტადიონზე. ჩემს გარშემო, მეგობართაგან, ახლობელთაგან, თუ ნაცნობთაგან თამაშზე არავინ მიდის. ყველას ეზარება, ან უბრალოდ არ უნდა. ერთადერთი მიზეზი სტადიონზე წასვლისა თუ გაკრთება ლაპარაკებში, ისაა, რომ „ლოკომოტივზე" ჯერ არ ვყოფილვართ და ვნახოთ ერთი, აქებენ როგორც საცქერალ ადგილსო. თუმცა, ამაზეც ხელს ჩაიქნევენ ხოლმე, მაგის ნახვაც მოესწრებაო.

ერთმა უბნელმა ძმაბიჭმა თქვა, დაგინებული მქონდა, რომ ნაკრების საყურებლად არ წავალ (ბოლოს ერთად ვიყავით იტალიაზე) მაგრამ ბილეთი მაჩუქეს და თანაც მე დაგინებული მქონდა, რომ აი, ამ სტადიონზე არ მოვალ-მეთქიო და ახლა კიდევ „ლოკომოტივიაო". თუმცა, ისიც ყოყმანობს, ტელევიზორს ხომ არ ჩავუჯდე, ამდენი საინტერესო თამაშიაო.

აი, ასეთი ამბებია.

მგონია, რომ ახალი „ლოკომოტივი" გაივსება და გულშემატკივრობაც ისეთი იქნება, როგორიც არის ხოლმე. ასევე მგონია, რომ საქართველოს ნაკრები დაამარცხებს უნგრელებს და სიხარულიც გვეწვევა, თუმცა, ამით ჩვენი გუნდი წინ ვერ წაიწევს და რაიმე თვისობრივ ცვლილებაზეც ხომ ვერ ვილაპარაკებთ.

ყოველთვის მეგონა და ახლაც მგონია, რომ საქართველოს მთავარი საფეხბურთო პერსპექტივა მისი ნაკრებია. ეგებ, გულშემატკივრებს ბევრი არც უფიქრიათ ამ საკითხზე, მაგრამ ნაღდად უგრძვნიათ. არცერთ საკლუბო გუნდს ჩვენს სტადიონებზე არ ჰქონია იმხელა მხარდაჭერა (თუ არ ჩავთვლით „დინამო" — „ლინფილდის" პირველ მატჩს) როგორიც ნაკრებს. ფეხბურთში კარგად გარკვეულ, გამოცდილ, ალალ გულშემატკივარს რომ სტადიონისკენ ვერ წაიყვანს მისი ერთადერთი საერთაშორისო იმედი, რაღა სიხარული უნდა ეძებო გამარჯვებაში?

პატარა ბიჭები ყოველთვის მივლენ სტადიონზე. სახიფათო ის არის, რომ, როცა წამოიზრდებიან, იმათაც გული გაუტყდებათ. თუ ასე წავიდა და ჩვენში აღარ იარსებებს ეგრეთ წოდებული „ძველი გულშემატკივარი".

რატომ?

რატომ და იმიტომ, რომ ვისაც არ ვკითხე, სტადიონზე მოდიხარ-მეთქი, ყველამ განზე გაიხედა. „ჰო" იმათ გარდა არავის უთქვამს, ვისაც პროფესიული დავალება აქვს.

ცოდვა გამხელილი სჯობს, ვისთან ერთადაც სტადიონზე ჯდომა მიხარია, თუ ისინი ვერ ვნახე იქ ეგრე ერთ მაღალმთიან სოფელშიც მიყურებია ფეხბურთის ტელერეპორტაჟისთვის და არც მოგება გამხარებია და არც წაგება მწყენია. იმიტომ რომ, საფეხბურთო განწყობა იქ არ იყო.

ყველანი ხომ ერთად ვართ. ფეხბურთის ჰარმონია სხვანაირად არ არსებობს.

საქართველოს 13 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
პირველი ეტაპი

# 4 ტური

შედეგები

**ხაშური**
29 აგვისტო
18.15 საათი –
ბრიგოლ ჯომარჯიძე
100 (ტევადობა 8 000)

**თორი 0:3 მილანი**

0:1 ტოკლიკიშვილი (48), 0:2 გოლეთიანი (61), 0:3 მედოევი (70)
თორი: ა. ლაბაძე, სადილიანი, ქობხონელიძე, დ. ლეკიშვილი, ფირცხალავა, სეფერთელაძე, ციბაძე, ძ. მესხი, ტარიელაშვილი, გოქაძე (ონიანი 69), მ. ლეკიშვილი
სათადარიგონი: ნამგალაძე, სულავა
მილანი: ძამუნაშვილი, ტარულაშვილი (ჩიტაური 73), გველესიანი, ნინუა, მეტონიძე, მ. სამხარაძე, თ. სამხარაძე (ბურჯანაძე 68), გოლეთიანი, ბარამიძე (აბრამიშვილი 73), ტიკლიკიშვილი, მედოევი
სათადარიგონი: ჯიქიძე, ე. გელაშვილი, გაბრიჭიძე, გრძელიძე
მსაჯები: ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)

**მცხეთა**
29 აგვისტო
18.15 საათი
არმაზი
100 (ტევადობა 3 000)

**თსუ 3:0 სამტრედია**

1:0 მერებაშვილი (49), 2:0 მესხი (73), 3:0 ბ. ნოზაძე (80)
თსუ: გუგუნავა (ქრიკიშვილი 84), დათუნაიშვილი, ქერაშვილი, ბერიანიძე, ჯობავა, ბ. ნოზაძე, მერებაშვილი (შოშიაშვილი 75), მ. მესხი, ქუხილავა (ჩოხელი 38), ლობჟანიძე, კუპრეიშვილი
სათადარიგონი: იაკობიძე, ეგაძე, ჯოჯუა
სამტრედია: თავაძე, ჯულაყიძე, გოგია, თოდაძე, თ. მაღლაკელიძე, რუხაძე, კეკელიძე (ცერულაშვილი 42), ფხაკაძე, ჩიგოგიძე (ნიკურაძე 26), ხურციძე (ლერი მეგენეიშვილი 84), ლევან მეგენეიშვილი
სათადარიგონი: ხარძეიშვილი; ბოხუა
გაფრთხილება: თ. მაღლაკელიძე
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი, მ. მაღალურაძე (ყველა თბილისი)

**ზუგდიდი**
29 აგვისტო
18.30 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 7 500)

**ლაზიკა 1:1 ხობი**

1:0 გ. თოდუა (28), 1:1 ხურცილავა (45)
ლაზიკა: ბულია, კვიტატიანი (ა. ნაყოფია 83), გვაზავა, დიდიძე, მებონია (ლიპარტია 50), ი. ფიფია, ქარჩავა (გამსახურდია 60), კუპრავა, გ. თოდუა, ბაკარანძე, ჯოჯუა
სათადარიგონი: კვარაცხელია; რეხვიაშვილი, თ. თოდუა, გვიჩია
ხობი: მ. ნაყოფია, ჯამბურია, დანელია (ხაგალია 71), ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, კ. ხურცილავა, ჯლარკავა (ა. ფიფია 77), ჯიქია, ზაზა აიანადი, ჭიჭინაძე, როგავა
სათადარიგონი: აბაკელია, ბერაია, ახალაია, ალანია
გაფრთხილება: ლ. ჯაბუა, ჯიქია, ი. ჯაბუა, ქარჩავა, ი. ფიფია
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)

**თბილისი**
29 აგვისტო
18.15 საათი
დიღმის საწვრთნ. ბაზა
200

**ლოკომოტივი 3 4:0 ქობულეთი**

1:0 სოსელია (6), 2:0 სურმავა (18), 3:0 სირბილაძე (66), 4:0 არუდაშვილი (72)
ლოკომოტივი 3: ივარდავა, მანჩხავა, გვარუციძე, სანაია, გოგნაძე, არუდაშვილი, სურმავა (კობერიძე 59), ელასოვი, ლ. ხურცილავა (შედანია 31), სოსელია (დემეტრაძე 59), სირბილაძე
სათადარიგონი: ჯამბურია; ტაბიძე, გავაშელიძე, ბერელიძე
ქობულეთი: გოგუა, გეგეშიძე, ოქროპირიძე, ლომთათიძე, ბერიძე, ანჯაფარიძე, თალაკვაძე, ბაჟუნაიშვილი (ყალიჩავა 75), თ. კირკველია (გოგმაჩაძე 59), კაკალაძე (დ. ჯინჭარაძე 27), კალანდაძე
სათადარიგონი: გაბუნია, ბ. თედორაძე, ჩახუნაშვილი, ა. ჯინჭარაძე
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); კ. მესხი (ზუგდიდი)

**გორი**
29 აგვისტო
18.30 საათი
ქართლი
300 (ტევადობა 2 000)

**ცხინვალი 2:0 დინამო 2**

1:0 ტყემალაძე (64), 2:0 ეჯოშვილი (83)
ცხინვალი: მდივანი, ხოხობაშვილი, ელისაშვილი, ქობესაშვილი, ტყემალაძე, მოსიაშვილი, ციცქიშვილი (სომხიშვილი 54), მარგიევი, ეჯოშვილი, ნასუაშვილი (აბულაძე 82), ბოჭორაძე (ოლგესაშვილი 54)
სათადარიგონი: მაისურაძე, ყაჩლავაშვილი, ნიქარიძე, ჩაჩიბაია
დინამო 2: გერგედავა, ბოჭორიშვილი (მეგრელიშვილი 36), ექონია, გოგოლაძე, სახურია, მგავანაძე, ი. გელაშვილი, გუშარაშვილი, ბ. შელია, თუთარაშვილი, მუმლაძე (კვიციანი 61, ხონელიძე 75)
სათადარიგონი: ნადირაშვილი, ნ. ებრალიძე, ფოფხაძე, გოგუა
გაფრთხილება: სახურია, ხოხობაშვილი
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ზ. ხუციშვილი (დმანისი), ვ. ელისაბედაშვილი; ა. მეშკოვი (ორივე თბილისი)

**გორი**
30 აგვისტო
18.15 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:0 მერანი 2**

1:0 ხორგუაშვილი (61)
დილა: სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, მ. ბურნაძე (არუთინიანი 46), საყვარელიძე, ფეზუაშვილი, ბ. ჩიტაია (გოგინაშვილი 63), ხორგუაშვილი (მძინარიშვილი 89), ხმალაძე
სათადარიგონი: ილურიძე; გაგნიძე
მერანი 2: ჯ. თოდუა, ჭითანავა, ჭალიაშვილი, დ. ჩხაიძე, კვანტალიანი, ადუაშვილი, მინჯია (ი. თოლორდავა 73), ქარია, გაბედავა, ფურცელაძე (გ. სვანაძე 60), იაკობიძე (სილაგავა 64)
სათადარიგონი: გიორბელიძე; ქობალია, ზ. ფირცხალაიშვილი, ჩერქეზოვი
გაფრთხილება: ადუაშვილი, ფურცელაძე, დ. ჩხაიძე, ფეზუაშვილი
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ზ. დოლიძე (თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); დ. სანაია (სოხუმი)

# დილამ ყველა დაჩრდილა

მეოთხე ტური უიღბლო გამოდგა ლიდერებისთვის. ზუგდიდის „ლაზიკამ“ პირველად დაკარგა ქულა მიმდინარე გათამაშებაში, „ქობულეთი“ კი სულაც 0:4 დამარცხდა აუტსაიდერთა შორის მყოფ „ლოკომოტივი 3“-თან.

„ლაზიკამ“ კარგად დაიწყო მატჩი შინ „ხობთან“ და შეხვედრის 28-ე წუთზე თოდუას გოლით დაწინაურდა კიდეც, თუმც ხობელთა ბომბარდირმა კალისტრატე ხურცილავამ ტაიმის ბოლო წუთზე წონასწორობა აღადგინა — მატჩიც 1:1 დასრულდა. ხობელებმა უკვე თამამად დაისაკუთრეს უხერხული მეტოქის სახელი. მათ ოთხ მატჩში ერთხელ გაიმარჯვეს და სამჯერ ფრედ ითამაშეს. რაც შეეხება „ქობულეთს“, ზღვისპირელებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დათმეს მატჩი რკინიგზელებთან და საკმაოდ მოულოდნელი შედეგიც გამოაცხვეს.

ლიდერთა ჯგუფში კვლავ გაერია წნორის „მილანი“. კახელებმა ჩემპიონატის ერთპიროვნული აუტსაიდერი დაამარცხეს „სტუმრად“ დიდი ანგარიშით 3:0. პირველი ტაიმის შემდეგ ძნელი დასაჯერებელი იყო წნორელთა ამგვარი ანგარიშით გამარჯვება, მაგრამ მოსახდენი მაინც მოხდა და ტოკლიკიშვილის, გოლეთიანისა და მედოევის გოლებს აქამდე ისედაც უგოლოდ მყოფმა „თორმა“ ვერაფრით უპასუხა.

ზედიზედ მესამედ დამარცხდა თბილისის „დინამო 2“. ამჯერად დინამოელებმა „ცხინვალის“ შეტევებს ვერ გაუძლეს, თუმც შეხვედრის დამთავრებამდე ოცდახუთიოდე წუთით ადრე ანგარიში ჯერ კიდევ 0:0 იყო. საბოლოოდ თბილისელთა წინააღმდეგობა ტყემალაძემ დაძლია, რასაც გამოცდილმა ეჯოშვილმა 83-ე წუთზე მეორე ბურთიც დაუმატა და მასპინძლებმა მორიგი სამი ქულა ჩაიწერეს აქტივში.

კიდევ ერთი აუტსაიდერი „სამტრედია“ მცხეთაში ახალგაზრდულ „თსუ“-თან დამარცხდა 0:3 და ისევ კინკილა ქულის ამარა დარჩა.

ლიდერობა შეინარჩუნა გორის „დილამ“. უმაღლეს ლიგაში აღზევების მოსურნე გორელებმა ზედიზედ მესამე მატჩში იმარჯვეს. ამჯერად „დილამ“ „მერანი 2“-ს დააყრევინა ფარ-ხმალი. თუმც ისიც უნდა ითქვას, რომ დედაქალაქელებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს. შეხვედრას 1000-მდე გულშემატკივარი დაესწრო, რომლებიც საყვარელი გუნდისგან მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვდნენ. „დილამ“ ქომაგებს იმედი არ გაუწბილა და გამოცდილი ხორგუაშვილის მიერ 61-ე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა მეტოქე.

ასე რომ, თანდათან გამოიკვეთა აუტსაიდერთა და ლიდერთა ჯგუფები. თვალსაჩინო გახდა იმ გუნდთა ვინაობაც, რომელთაც არხეინად ყოფნა შეუძლიათ. თუმც მოვლენებს ნუ გავუსწრებთ, წინ ხომ კიდევ საკმაოდ ბევრი თამაშია დარჩენილი.

**ბაჩა შალამბერიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:2 | 7 |
| ლაზიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ცხინვალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| თსუ | 4 | 2 | 0 | 2 | 4:2 | 6 |
| ქობულეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 2:4 | 6 |
| ხობი | 4 | 1 | 3 | 0 | 4:3 | 6 |
| ლოკომოტივი 3 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| დინამო 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 4:5 | 3 |
| მერანი 2 | 4 | 1 | 0 | 3 | 1:5 | 3 |
| სამტრედია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| თორი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |

# სირაძე თურქულს გაერიდა

თბილისის „ლოკომოტივმა“ შესაძლოა, ნიჭიერი ახალგაზრდა ნახევარმცველი დავით სირაძე შეიმატოს.

20 წლის დავით სირაძე საქართველოში მხოლოდ „დინამო2“-ში თამაშობდა ზურაბ მაისურაძის მწვრთნელობისას. თუმც 1998 წელს 17 წლისამ დატოვა საქართველო და თურქეთში წავიდა, სადაც იქაურ „ერზურუმსფოში“ ჩაირიცხა.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციის წეს-კანონების თანახმად, კლუბს იმ შემთხვევაში ეძლევა უფლება თავის რიგებში უცხოელი ათამაშოს, თუ 50 000 დოლარს გადაუხდის ფედერაციას. ხელმომჭირნე „ერზურუმსფორმა“ კი ეს ვერ შეძლო და სირაძეც იძულებული გახდა, დუბლშემადგენლობაში დაემტკიცებინა საკუთარი ძალა. ქართველი ფეხბურთელი „ერზურუმსფორი 2“-ში არ დაკარგულა და მალე გუნდის კაპიტანიც კი გახდა.


დავით სირაძე (№14) შინ დაბრუნდა

საბოლოოდ ჩვენებურმა თურქეთში სამი წელი გაატარა. შარშანდელ სეზონში „ერზურუმსფორი“ უმაღლესი დივიზიონიდან გავარდა. ქვედა დივიზიონში კი უცხოელს თამაშის უფლება არა აქვს.

სწორედ ამ მიზეზით დაბრუნდა დავით სირაძე საქართველოში და კარგა ხანია, დედაქალაქურ „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს, თუმც ქართველს თურქულ კლუბთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. რკინიგზელებს კი სირაძის განაცხადში შეყვანაზე პრობლემები ნამდვილად არ შეექმნებათ, რადგანაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია კლუბებს საზღვარგარეთიდან მობრუნებული ფეხბურთელების დამატების უფლებას აძლევს.

შეგახსენებთ, რომ სირაძეს საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც უთამაშია მურთაზ ხურცილავას მწვრთნელობისას. წლეულს, 14 თებერვალს, სირაძემ პირველად და ჯერჯერობით უკანასკნელად მოირგო შინდისფერი მაისურა უკრაინასთან (1:0) ამხანაგურ მატჩში.

**ბაჩა შალამბერიძე**

საქართველოს 13 ჩემპიონატი
ჩემპიონული ლიგა

# 1 ტური

დასავლეთი ზონა

| | |
|---|---|
| სქური 1:2 საპოვნელა | დინამო ს. 1:1 მაღაროელი |
| კოლხეთი 2 0:0 საირმე | სამეგრელო 4:0 გზები |
| ინტერი 4:0 ჩიხურა | სულორი 2:1 ეგრისი |
| მერცხალი 3:1 ლუკა | ბათუმი 2 0:2 სალხინო |
| გურია 2 4:0 ოკრიბა | მეტალურგი 2 1:1 დინამო ზ. |

საქართველოს თასი
**პირველი ეტაპი**

| | |
|---|---|
| კოლხეთი 2 3:1 ლუკა | სულორი 3:2 საირმე |
| მაღაროელი 1:2 ინტერი | კოლხეთი 2 კენჭისყრით გავიდა მეორე ეტაპზე |

მეორე ეტაპზე გასასვლელი მატჩი

**ინტერი 2:3 სულორი**


ნოდარ ახალკაცის სახელობის
საფეხბურთო სკოლა „ირაო“
აცხადებს 1992, 93, 94, 95 წლებში
დაბადებულ ბავშვთა მიღებას
მისამართი: ვაკე, ჭავჭავაძის 37

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)
მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის
განსაზღვრა უფასო კონსულტაციით
თსსუ ცენტრალური კლინიკა (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფო).
I სართული ტელეფონი: 38-67-56; 8 99 107 109

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

## I ჯგუფი

1 სექტემბერი

### შვეიცარია — იუგოსლავია
### სლოვენია — რუსეთი
### ფარერები — ლუქსემბურგი



ზლატკო ზაჰოვიჩი არ იქნება

**ჯგუფის** მთავარი მოქმედება დღეს ლიუბლიანაში გათამაშდება. სრეჩკო კატანეცის საფეხბურთო საზომით ახალგაზრდა, მაგრამ ამბიციური სლოვენია რუსეთს უმასპინძლებს. საქმე ისეა, რომ თუ რუსებმა მოიგეს, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს თითქმის გაინაღდებენ, ხოლო თუ მასპინძლებმა იმარჯვეს, რუსებთან მხოლოდ ერთი ქულა დააშორებთ.

ეს ხუთი დღე სლოვენიელებისთვის გადამწყვეტია. ჯერ ჯანმაგარ რუსებთან ბრძოლას რამდენ ძალას შეალევენ და მერე ოთხშაბათს ბელგრადში იუგოსლავიელებთან ელით უძნელესი მატჩი.

სლოვენიელთა მწვრთნელ სრეჩკო კატანეცის თქმით, მოწინააღმდეგის ყველაზე სახიფათო მოთამაშეებს პერსონალურ მეურვეებს არ მიუჩინეს, რადგან რუსი ფეხბურთელები ხშირად იცვლიან პოზიციებს.

კატანეცს მიაჩნია, რომ სტუმრები პირველ ნახევარ საათს გაძლიერებულ დაცვაში გალევენ, ამიტომ თავისიანებს სთხოვს, ჯიქურ არ შეუტიონ. სასურველ მომენტს დაელოდონ.

მასპინძელთა მთავარი პრობლემა ის არის, რომ არ ეყოლებათ საუკეთესო მეგოლე ზლატკო ზაჰოვიჩი. ის ნაკრების შეკრებაზე დაშავებულა და გუნდს მხოლოდ 5-ში, იუგოსლავიელებთან თუ დაეხმარება.

კატანეცი ზაჰოვიჩს „ცრვენა ზვეზდას" მილე აჩიმოვიჩით შეცვლის. მწვრთნელმა ჟურნალისტებს სთხოვა ამ ამბავს, უფრო სწორად, ზაჰოვიჩის ვითომცდა შეუცვლელობის ყბადაღებულ ვერსიას, განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციონ, რადგან ეს აჩიმოვიჩს ფსიქოლოგიურად დათრგუნავს: „ზაჰოვიჩი ჩვენთვის მართლაც მნიშვნელოვანი ფიგურაა, მაგრამ მის არყოფნას გადაუჭრელ პრობლემად ნუ ვაქცევთ. მთავარია გუნდი იყოს ერთიანი. მხოლოდ ერთიანობისას გადავლახავთ ნებისმიერ სიძნელეს" — თქვა კატანეცმა.

„ზაჰოვიჩის შეცვლა ძალიან რთულია — მიაჩნია აჩიმოვიჩს — მაგრამ, ვფიქრობ, მეც შემიძლია კარგად ვითამაშო. მთავარია მოვიგოთ."

კატანეცმა ჟურნალისტებს ისიც უთხრა, ჯგუფში პირველ ადგილზე უნდა გავიდეთო, რასაც სლოვენიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა რუდოლფ ზავრალმა ასეთი რეპლიკა დაურთო: თუ ასე მოხდა, ჩვენი ნაკრები ისტორიაში შევაო...

საინტერესოა, რომ სლოვენიელები შეკრებას ლიუბლიანის მახლობლად, ბრდოში გადიან. ივნისში კი იქ ერთმანეთს პირველად შეხვდნენ რუსეთისა და ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტები ვლადიმირ პუტინი და ჯორჯ ბუში...

და კიდევ, გუშინ ფიფამ პლეი ოფის წინასწარი წილისყრა ჩაატარა, რომლის მიხედვითაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად ერთმანეთს პირველი და მერვე ჯგუფის მეორეადგილოსნები შეხვდებიან. მერვე კი ქართველების ჯგუფია...

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 10:3 | 17 |
| სლოვენია | 7 | 3 | 4 | 0 | 11:7 | 13 |
| შვეიცარია | 7 | 3 | 2 | 2 | 14:6 | 11 |
| იუგოსლავია | 6 | 2 | 3 | 1 | 11:4 | 9 |
| ფარერები | 6 | 1 | 1 | 4 | 5:15 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 2:18 | 0 |

5 სექტემბერი

**იუგოსლავია — სლოვენია**
**ლუქსემბურგი — შვეიცარია**
**ფარერები — რუსეთი**

## II ჯგუფი

1 სექტემბერი

### ანდორა — პორტუგალია
### ირლანდია — ჰოლანდია

**დღეს,** დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე" ჰოლანდიასთან თამაშის წინ ირლანდიის ნაკრები, ალბათ, თავად მისთვისაც უჩვეულო პოზიციაზე, პირველ ადგილზეა — პორტუგალიას სამი ქულით უსწრებს, ოთხით ჰოლანდიას, თუმცა ორივეზე თამაშით მეტი აქვს. ერთი სიტყვით, პირველ ადგილზე გასვლისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ავტომატურად მოხვედრის შანსი მიკ მაკარტის ბიჭებს დიახაც, აქვთ, მაგრამ ამ ჯგუფში ფავორიტად მაინც პორტუგალიელებს თვლიან.

გეხსომებათ, დღევანდელ მეტოქეთა პირველ შეხვედრაში, ჰოლანდიაში, 2:2 იყო, რაც ირლანდიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს შედეგად აღიარეს. და „ლენსდაუნ როუდზეც" იგივე რომ გამეორდეს, მასპინძლებს პლეი ოფში გასვლა, ანუ ჯგუფში მეორე ადგილი უკვე გარანტირებული ექნებათ.

თუმცა, მაკარტი აცხადებს, რომ მისი გუნდის ერთადერთი მიზანი გამარჯვებაა:

— ჩვენ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ვერასდროს ვეტყვი ფეხბურთელებს გადით და ფრეზე იფიქრეთ მეთქი, მით უმეტეს კი ისეთ გუნდთან თამაშის წინ, როგორიც ჰოლანდიაა. ეს სრული სიგიჟე იქნებოდა. ჰოლანდიელებს ბურთის ფლობის საშუალება რომ მისცე, ამით მხოლოდ საკუთარ თავს შეუქმნი პრობლემებს. ამიტომაც ვამბობ, რომ ჩვენ სამი ქულისთვის უნდა ვიბრძოლოთ. ვგრძნობ, ჩვენს ჯგუფში პირველ ადგილზე პორტუგალია გავა. მას კვიპროსსა და ანდორასთან სტუმრად, ხოლო ესტონეთთან შინ დარჩათ სათამაშო".

მაშ ასე, მაკარტი გამარჯვებაზე ფიქრობს, მაგრამ ირლანდიის გამარჯვება ჰოლანდიის კატასტროფას ნიშნავს.

— ფაქტია, ჩვენი თამაში ინგლისისა და ჰოლანდიის ამასწინანდელ ამხანაგურ შეხვედრას არაფრით ემსგავსება — განაგრძო ირლანდიელთა მწვრთნელმა — იმ დღეს სვენ გორან ერიკსონს ტრავმებისა ეშინოდა. მე ეს ზუსტად ვიცი. ჩვენთან თამაშის დროს კი ჰოლანდიელები გაცილებით მეტ ორთაბრძოლას უნდა ელოდონ.

ირლანდიელებს დაშავებული ჰყავთ კენი კანინგემი, სტივენ კარი, გერი ბრინი და მარკ კინსელა. „მანჩესტერ იუნაიტედის" გული და სული როი კინი და ლიდსელი იან ჰარტი გუნდში არიან, მაგრამ ცოტას ისინიც მკურნალობენ.

„როის მსუბუქი ტრამვა აქვს, მაგრამ დამპირდა, რომ „თამაშისთვის სრულიად მზად იქნება. ვიცი, მას ძალიან უნდა ეროვნულ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე გაუძღვეს. ჩვენ ხომ ამ შეჯიბრებაზე რვა წელიწადია არ გვითამაშია. ჰარტის ტრავმას კი ფრთხილად ვსწავლობთ. იანს მოედანზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავუშვებთ თუ ასი პროცენტით მზად იქნება".

ჰოლანდიელებს, თუ ედგარ დავიდსს და მიხაელ რაიციგერს არ ჩავთვლით, ყველა კარგად ჰყავთ. განსაკუთრებით საშიში კი, ბუნებრივია, მათი თავდასხმაა: ჰასელბაინკი, კლუივერტი, ოვერმარსი, ვან ბომელი და ვან ნისტელროი. ვის გაიყვანს ლუის ვან გაალი მინდორზე?



მანჩესტერელებისგან გულდაყოდილმა იაპ სტამმა დარდი თვისტომეშში გაიქარვა

**ბაკუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 8 | 5 | 3 | 0 | 18:5 | 18 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 3 | 0 | 18:5 | 15 |
| ჰოლანდია | 7 | 4 | 2 | 1 | 21:8 | 14 |
| ესტონეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | 7 |
| კვიპროსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:22 | 7 |
| ანდორა | 8 | 0 | 0 | 8 | 4:25 | 0 |

5 სექტემბერი

**ჰოლანდია — ესტონეთი**
**კვიპროსი — პორტუგალია**

## III ჯგუფი

1 სექტემბერი

### ისლანდია — ჩეხეთი
### მალტა — ბულგარეთი
### დანია — ჩრდ. ირლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 7 | 4 | 3 | 0 | 13:5 | 15 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:3 | 14 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| ისლანდია | 7 | 3 | 1 | 3 | 11:10 | 10 |
| ჩრდ. ირლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 6:11 | 4 |
| მალტა | 7 | 0 | 1 | 6 | 2:18 | 1 |

5 სექტემბერი

**ჩეხეთი — მალტა**
**ბულგარეთი — დანია**
**ჩრდ. ირლანდია — ისლანდია**

## IV ჯგუფი

1 სექტემბერი

### მაკედონია — შვედეთი
### მოლდოვა — აზერბაიჯანი
### სლოვაკეთი — თურქეთი



თურქები ბრატისლავიდან ხელ და თავაწეულები აპირებენ დაბრუნებას

**ჯგუფში** ერთადერთი მოლდოვაა, რომელსაც გამარჯვება ჯერ არ უგემია. თავის დროზე ჩვენი ნაკრების ორჯერ გამამწარებლები დღეს აზერბაიჯანელებს უმასპინძლებენ. რაღა თქმა უნდა, მოლდაველები ნავსის გატეხვას შეეცდებიან და სამი ქულისთვის იბრძოლებენ. მით უმეტეს, მათ რაიმე პრეტენზია ჯგუფიდან გასვლაზე არც აქვთ, ან საიდან ექნებათ, როცა ორივემ ერთად შვიდ თამაშში ხუთი კინკილა ბურთი გაიტანა. მასპინძლები, რომელთაც საშინაო შეხვედრებში მეტოქის კარი ერთხელაც არ აუღიათ, შეეცდებიან, აზერბაიჯანელებზე იყარონ ჯავრი. თავის მხრივ, ჩვენმა ახლო მეზობლებმა აქამდე სტუმრად ჩატარებულ ყველა შეხვედრაში სამ-სამი ბურთი გაუშვეს და ეგებ ამ მატჩში შეძლონ ცუდი მაჩვენებლის გამოსწორება. საინტერესოა, რომ მე-7 ტურში აზერბაიჯანელებმა სლოვაკთა დამარცხება მოახერხეს, რითაც ჩეხთა განაყოფებს მდგომარეობა ერთობ გაურთულეს. ცხადია, ამ წყვილში ბრძოლა ბოლოსწინა ადგილისთვის იქნება.

რაც შეეხება მაკედონიაში მოთამაშე შვედებს, უახლოეს ხუთ დღეში ორი უმძიმესი მატჩი ელით. მართალია, მაკედონიელებმა შინაურ კედლებში მხოლოდ აზერბაიჯანელთა დამარცხება მოახერხეს, მაგრამ უბრძოლველად არაფერს დათმობენ. ჯერაც დაუმარცხებელ შვედებს ამ შეხვედრაში სამი ქულა ჰაერივით სჭირდებათ, რათა ოთხშაბათს სტამბოლში დამშვიდებულნი ჩავიდნენ. მაკედონიელებს, ვფიქრობთ, კორეა-იაპონიაში მოხვედრის თითქმის არანაირი შანსი არა აქვთ.

ამასობაში ბრატისლავასაც მივადექით, სადაც სლოვაკები თურქებს დაუპირისპირდებიან. წინა ტურში, შეიძლება ითქვას, ორივე ნაკრებმა დაუგეგმავი ქულები დაკარგა, რითაც მხოლოდ საკუთარ თავს უმტრეს. დამოუკიდებლად არსებობის მანძილზე სლოვაკებს რეალური შანსი ეძლევათ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად იბრძოლონ, თურქებს კი ევროპის ჩემპიონატზე წარმატებული (მათთვის ეს წარმატებად ითვლება) გამოსვლის შემდეგ მადა გაეხსნათ და დათმობას არ აპირებენ. საინტერესოა, რომ თურქეთის ნაკრებს შესარჩევ ჯგუფებში ნათამაშევი ბოლო თერთმეტი გასვლითი მატჩიდან ერთიც არ წაუგიათ. ისინი ამ წარმატებული სერიის გაგრძელებას აპირებენ. მათი დამრიგებელი შენოლ გიუნეში საკმაოდ კარგ ხასიათზეა და ფეხბურთელების სჯერა. „ფრეზე საუბარი არც შეიძლება იყოს, მხოლოდ გამარჯვება გვაკმაყოფილებს. 47 წელი ველოდით კიდევ ერთხელ მსოფლიოს მთავარ საფეხბურთო ფორუმზე მოხვედრას, ასე რომ, სრულ საბრძოლო მზადყოფნაში ვართ. ჩვენ გვჯერა წარმატების და თქვენც უნდა ირწმუნოთ. არ გვაინტერესებს როგორ ითამაშებენ დღეს ჩვენი კონკურენტები, მხოლოდ საკუთარი თავის იმედზე ვართ. არ იფიქროთ, რომ პირდაპირ რისკზე წავალთ და შევუტევთ, ვფიქრობ, 4-4-2 სისტემით ვითამაშებთ, მაგრამ უეჭველად მოგებას შევეცდებით. კიდევ ერთხელ უნდა შევაღოთ მსოფლიოს ჩემპიონატის კარი". როგორც ხედავთ, თურქთა თავკაცს სერიოზული მიზნები აქვს, ხოლო რამდენად შეძლებენ ისინი მათ განხორციელებას, დღესვე გამოჩნდება. სხვათა შორის, გიუნეში ქართულად მზეს ნიშნავს. ვნახოთ, გაუნათებს თუ არა იგი თურქებს კორეა-იაპონიისკენ მიმავალ გზას.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 13:1 | 17 |
| თურქეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 13:6 | 15 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 2 | 2 | 7:6 | 11 |
| მაკედონია | 7 | 1 | 3 | 3 | 9:10 | 6 |
| აზერბაიჯანი | 7 | 1 | 1 | 5 | 3:11 | 4 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 3 | 4 | 2:13 | 3 |

5 სექტემბერი

**თურქეთი — შვედეთი**
**სლოვაკეთი — მოლდოვა**
**აზერბაიჯანი — მაკედონია**

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ევროპა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## V ჯგუფი

1 სექტემბერი

### ბელარუსი — უკრაინა
### უელსი — სომხეთი
### პოლონეთი — ნორვეგია



ვალერი ლობანოვსკი

**ცენტრალური** მატჩი, ცხადია, ბელარუს — უკრაინაა. სლავური დერბი უშელავათო ბრძოლას გვპირდება. გუნდები 24 მარტს უკვე შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ კიევის რესპუბლიკურ სტადიონზე უკრაინელებმა ვერაფერი გააწყვეს სტუმრებთანა და ოდენ უგოლო ფრეს გამორჩნენ.

სატურნირო მდგომარეობის გარდა ინტრიგას კიდევ ერთი ფაქტორი ამძაფრებს — ერთმანეთს ედუარდ მალოფეევის და ვალერი ლობანოვსკის გუნდები დაუპირისპირდებიან. ამ ორ მწვრთნელს კი ძველი ანგარიშები აქვთ. კერძოდ, 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე სსრკ-ს ნაკრები ედუარდ მალოფეევმა გაიყვანა. მექსიკაში წასვლამდე, გუნდმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩაატარა, რომლებშიც არცთუ ასე კარგად წარმოაჩინა თავი და ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების წინ ედუარდ მალოფეევი გადააყენეს, მის ნაცვლად კი ვალერი ლობანოვსკი დანიშნეს, რომელმაც იმავე წელს კიევის „დინამოს" თასების მფლობელთა თასი მოაპოვებინა. ამ ამბით შეძრწუნებულმა მალოფეევმა ამას წინათ რუსული პრესის საშუალებით ვალერი ლობანოვსკის ცოდვების მონანიებისკენაც კი მოუწოდა.

უკრაინელები ოპტიმალური შემადგენლობით ეწვევიან ბელარუსს, ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ. ბელარუსი კი თავის პირველ მეკარეს, გენადი ტუმილოვიჩს მოისაკლისებს, რომელსაც ყვითელი ბარათები დაუგროვდა. ედუარდ მალოფეევის გუნდს, გუშინწინ ერთ-ერთი ლიდერი ვალენტინ ბელკევიჩი შეუერთდა, ეს ნახევარმცველი ტრავმის შემდეგ ინდივიდუალურად ვარჯიშობდა, თუმც მისი მინდორზე გამოსვლა სათუოა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 16:6 | 17 |
| ბელარუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 8:7 | 12 |
| უკრაინა | 7 | 2 | 4 | 1 | 7:7 | 10 |
| უელსი | 7 | 0 | 5 | 2 | 7:9 | 5 |
| ნორვეგია | 7 | 0 | 4 | 3 | 5:8 | 4 |
| სომხეთი | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | 4 |

5 სექტემბერი

**უკრაინა — სომხეთი**
**ბელარუსი — პოლონეთი**
**ნორვეგია — უელსი**

## VII ჯგუფი

1 სექტემბერი

### ბოსნია — ისრაელი
### ესპანეთი — ავსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 15:4 | 14 |
| ავსტრია | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 11 |
| ისრაელი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:6 | 10 |
| ბოსნია | 5 | 1 | 1 | 3 | 7:10 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 0 | 0 | 6 | 0:16 | 0 |

5 სექტემბერი

**ლიხტენშტაინი — ესპანეთი**

**ავსტრია — ბოსნია**

## VI ჯგუფი

1 სექტემბერი

### შოტლანდია — ხორვატია



ბოშკო ბალაბანი და რობერტ პროსინეჩკი

**გამარჯვებას** აქ ერთობ დიდი ფასი აქვს. მოგების შემთხვევაში ორივე გუნდს ჩინებული შანსი ეძლევა პლეიოფის გარეშეც გააღწიოს კორეა-იაპონიაში. ხორვატიაში გუნდებმა შარშან ოქტომბერში ითამაშეს და მშვიდობიანად გაეყარნენ ერთმანეთს — 1:1.

სქოთთა დამრიგებელ კრეიგ ბრაუნისგან დღევანდელ მატჩში მხოლოდ გამარჯვებას მოითხოვენ. ფრე უფრო ხორვატებს აძლევთ ხელს, რადგან ბალკანელებს უკეთესი კალენდარი აქვთ — ბოლო ტურში ხორვატია ბელგიას უმასპინძლებს, შოტლანდია ლატვიას, მაგრამ სქოთებს მანამდე ხომ ბელგიაში მოუწევთ სტუმრობა.

კრეიგ ბრაუნის გუნდს დაუბრუნდა ნაავადმყოფარი მეტიუ ელიოტი. პრემიერლიგური „ლესტერის" ეს სტოპერი ნაკრების დაცვის ბურჯია. სამაგიეროდ, საეჭვოა „ჰართსის" მცველ სტივენ პრესლის თამაში. ბოლომდე არა აქვთ ტრავმები მოშუშებული „ლესტერის" განაპირა მცველ კალუმ დევიდსონსა და „დერბის" შუახაზელ ბრაიან ონილს. კრეიგ ბრაუნს ისიც ადარდებს, რომ ნაკრების ძირითადის ხუთ ფეხბურთელს თითო ყვითელი ბარათი უკვე მიღებული აქვს, რაც მათ ფრთხილ თამაშისკენ მოუწოდებს — ოთხი დღის შემდეგ ხომ ბელგიაა.

პრობლემა ხორვატებსაც აქვთ. დღეს ვერ ითამაშებს მიდლსბროელი ფორვარდი ალენ ბოკშიჩი — მას მკლავი ისე აქვს დაჭიმული, რომ თანაგუნდელებს ვერაფრით დაეხმარება. სამაგიეროდ, ჯანზეა „ასტონ ვილას" მეგოლე ბოშკო ბალაბანი, შესაძლოა, ვეტერანი დავორ შუკერიც ვიხილოთ.

დაკორ შუკერზე უფრო ბალკანელებს მეორე ვეტერანის ეიმედებათ — ხორვატთა შეტევების დირიჟორი, ცხადია, რობერტ პროსინეჩკი იქნება, რომელიც ამას წინათ ინგლისურ „პორტსმუთს" შეუერთდა.

„მაინც რატომ ვერ უნდა მოვიგოთ? შოტლანდიასთან გამარჯვებისთვის შესაძლოა ერთი გოლიც საკმარისი აღმოჩნდეს. გლაზგოში შექმნილი ატმოსფერო კი სულაც არ გვაშინებს, პირიქით, ეს ძალას შეგვმატებს. „პორტსმუთში" სეზონი კარგად დავიწყე და ამ მატჩისთვის საკმაოდ კარგ განწყობაზე ვარ" — განაცხადა ხორვატთა წითურმა პლეიმეიკერმა.

**დავით თავართქილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგია | 6 | 4 | 2 | 0 | 23:5 | 14 |
| ხორვატია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 11 |
| შოტლანდია | 5 | 3 | 2 | 0 | 10:3 | 11 |
| ლატვია | 7 | 1 | 1 | 5 | 4:14 | 4 |
| სან მარინო | 7 | 0 | 1 | 6 | 3:26 | 1 |

5 სექტემბერი

**სან მარინო — ხორვატია**
**ბელგია — შოტლანდია**



მეტ ელიოტი და დომინიკ მატეო

## VIII ჯგუფი



ალესანდრო დელ პიეროს და ფრანჩესკო ტოტის ლიტვის დაწოლება არც კაუნასში გაუჭირდებათ

1 სექტემბერი

### ლიტვა — იტალია

**გადაწყვეტილი** ამბავია. იტალიის ნაკრების მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი დღეს კაუნასში თავდამსხმელ კრისტიან ვიერის ვერ ათამაშებს — ვიერიმ „პერუჯასთან" მატჩში დაშავებული ფეხი ვერ მოირჩინა. დონ ტრაპმა მის ნაცვლად პერუჯელ ნახევარმცველ ფაბიო ლივერანის უხმო. ტრაპატონი დარწმუნებულია, რომ იტალიის ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ოფიციალურად სწორედ დღევანდელ მატჩში მოიპოვებს.

ამასობაში ლიტვაში ზეიმია. ვილნიუსს ხომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ეწვია. ლიტველთა თავკაცმა ბენიამინას ზელკიავიჩუსმა ქომაგებს სიურპრიზი მოუმზადა და ნაკრებში 36 წლის ვეტერან არმინას ნარბეკოვასს უხმო. ზელკიავიჩუსმა ყველა უძლიერესი ლიტველი გამოიძახა, თუმც ორ კაცს მაინც მოისაკლისებს — ანდრიუს შკერლა და არტურას ფომენკა ტრავმირებულნი არიან. „უაზრობაა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ დაცვით ფეხბურთს ვითამაშებთ. პირიქით, იტალიას სამი ფორვარდით შევუტევთ და ჩვენსას ვეცდებით, ტიტულიან მეტოქეს არაფერს დავუთმობთ. რაც შეეხება ნარბეკოვასის გამოძახებას, არმინასის ძალიან მეიმედება, განსაკუთრებით სტანდარტული სიტუაციებისას. მისი დარი ჯარიმის შემსრულებელი ლიტვას დღესდღეობით არ ჰყავს" — აცხადებს ზელკიავიჩუსი.

იტალიამ კორეა-იაპონიისკენ მიმავალ გზაზე ლიტვა შინ უკვე ისტუმრა და ტრიესტში ბალტიისპირელები 4:0 გაანადგურა. რა იქნება დღეს? ჩვენი პროგნოზით, მიუხედავად ლიტველთა განცხადებისა, მაინც „სკუადრა ადზურა" მოიგებს.

**გიორგი გუგაძიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 6 | 5 | 1 | 0 | 15:3 | 16 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:6 | 12 |
| უნგრეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 13:7 | 8 |
| საქართველო | 5 | 1 | 0 | 4 | 6:10 | 3 |
| ლიტვა | 6 | 0 | 1 | 5 | 3:18 | 1 |

5 სექტემბერი

**საქართველო — ლიტვა**
**უნგრეთი — რუმინეთი**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08;
93 16 08;
Fax: 94 33 80

# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
# ე ვ რ ო პ ა
## IX ჯგუფი

1 სექტემბერი

### გერმანია — ინგლისი
### ალბანეთი — ფინეთი



დევიდ ბექჰემი ვარჯიშობს და შესაძლოა ითამაშოს კიდეც

**„იმათ ჰგონიათ,** რომ ყველაფერი დამთავრდა“ — ერთი კვირის წინ ამ უშველებული სათაურით ინგლისურმა გაზეთმა „სანმა“ მკითხველებს ამცნო, რომ გერმანიის ნაკრებმა 14 ნოემბრისთვის ამხანაგური მატჩი დაგეგმა. რა გამოდის? რა და გერმანელები არც ფიქრობენ, რომ მათ ეროვნულ გუნდს მეორეადგილოსანთა პლეი-ოფში თამაში მოუწევთ. თავის მხრივ, გუშინ ჩატარებული წილისყრის შემდეგ ინგლისელები უკრაინისა და ბელარუსის ნაკრებთა შესწავლა-გაცნობას იწყებენ.

ვითომ გარკვეულია ყველაფერი? ვითომ „ამათაც ჯგონიათ, რომ ყველაფერი დამთავრდა“? ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ...

სვენ გორან ერიკსონის გუნდს პირველ ადგილზე გასასვლელად (თუ ჩავთვლით, რომ შინ ინგლისელები დარჩენილ ორ თამაშსაც მოიგებენ) დღეს 2:1 გამარჯვება ჰყოფნით. დიახ, ძნელია ბუნდესნაკრების მისსავე მოედანზე დამარცხება, მითუმეტეს, რომ აქამდე ამ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევი მატჩი შინ მხოლოდ ერთხელ წაუგია, მაგრამ ინგლისის 2:1 რომ ფანტასტიკის სფეროს არ განეკუთვნება, ესაც ცხადია.

ამიტომაც ემზადება მატჩისთვის დევიდ ბექჰემი, ამიტომაც წაჰყვა იგი გუნდს მიუნხენში, თორემ სხვა შემთხვევაში ალბათ არ გარისკავდა. აკი ურჩევს კიდეც „მანჩესტერის“ ნახევარმცველს ინგლისის ნაკრების ყოფილი მეგოლე გარი ლინეკერი — თუ 100 პროცენტით მზად არ ხარ, არ ითამაშოო. ისე, სიტყვა პროცენტი ამ დღეებში ბექჰემის მუდმივი თანამგზავრია: ორშაბათს მისი მიუნხენის ოლიმპიურ სტადიონზე თამაში 0 პროცენტით ფასდებოდა, რენტგენის სურათმა ეს შანსები 40 პროცენტამდე გაზარდა, ხუთშაბათს კი, გერმანიაში გაფრენამდე ბოლო ვარჯიშზე მისმა მონაწილეობამ ტრადიციული „ფიფთი-ფიფთი“ (50-50-ზე) დააფიქსირა.

სხვა მხრივ ბოლო დღეებში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. ორივე გუნდის ფეხბურთელები ხოტბას ასხამენ მეტოქეს, თუმცა თავის ძალებში დარწმუნებულნი არიან. ინგლისის ნაკრები მიუნხენში გუშინწინ საღამოს ჩაფრინდა და ქალაქის ცენტრში, „მანდარინ ორიენტალ ოტელში“ დასახლდა. ჩასულები არცთუ კმაყოფილები დარჩნენ იმით, რომ მათი სასტუმრო მიუნხენის უდიდესი ლუდხანის მეზობლად მდებარეობს...

დიდი ჯახი თბილისის დროით საღამოს თერთმეტის ნახევარზე იწყება.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 6 | 5 | 1 | 0 | 13:5 | 16 |
| ინგლისი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| საბერძნეთი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:10 | 6 |
| ფინეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 5:6 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:10 | 3 |

5 სექტემბერი

**ინგლისი — ალბანეთი**
**ფინეთი — საბერძნეთი**



რუდი ფოილერი (შუაში) და გერმანია ინგლისის დასახვედრად ემზადებიან

# სანოემბრო აგვისტოში

**მსოფლიო** ფეხბურთის მამები შესარჩევი ტურნირის დამთავრებას აღარ დაელოდნენ და ზაფხულის ბოლო დღეს შვეიცარიულ ციურიხში წილი ჰყარეს. მართალია, იმ 9 გუნდიდან, ვინც 10 და 14 ნოემბერს შეერკინება ერთმანეთს, ჯერ არც ერთის ვინაობაა ცნობილი, თუმც წილისყრამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

საქმე მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ევროპულ ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასულ ნაკრებებს ეხება. როგორც იცით, ჯგუფების გამარჯვებულები კორეა-იაპონიის საგზურებს ავტომატურად მიიღებენ, მეორეადგილოსნები კი ნოემბრის შუა რიცხვებში გაარკვევენ დამატებითი ადგილების მფლობელებს.

მაშ ასე, ციურიხის წილისყრამ გუნდები (უფრო სწორად, ჯგუფები) ასე დააწყვილა:

*II ჯგუფის მეორე (ირლანდია, პორტუგალია ან ჰოლანდია) — აზიის მესამე*

*VI ჯგუფის მეორე (ბელგია, ხორვატია ან შოტლანდია) — III ჯგუფის მეორე (დანია, ჩეხეთი ან ბულგარეთი)*

*V ჯგუფის მეორე (ბელარუსი ან უკრაინა) — IX ჯგუფის მეორე (გერმანია ან ინგლისი)*

*VII ჯგუფის მეორე (ავსტრია ან ისრაელი) — IV ჯგუფის მეორე (შვედეთი, თურქეთი ან სლოვაკეთი)*

*I ჯგუფის მეორე (სლოვენია, იუგოსლავია ან შვეიცარია) — VIII ჯგუფის მეორე (რუმინეთი ან უნგრეთი)*

პირველი მატჩები 10 ნოემბერს გაიმართება, საპასუხოები კი ოთხი დღის შემდეგ.

**შენიშვნა:** ცხადია, პლეი ოფის სავარაუდო მონაწილეებად მხოლოდ ისინი მოვიხსენიეთ, ვისაც მეორე ადგილზე გასვლის პრაქტიკული შანსი აქვთ, თორემ თუნდაც იგივე ჩვენ ჯგუფში მეორე ადგილზე თეორიულად იტალიაც შეიძლება აღმოჩნდეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი ბედკრული ნაკრებიც.

**გიგა ძოგახიძე**

# ნეტავ ოუენმა პენალტი ააცილოს

**დღეს** გერმანია — ინგლისია, პრინციპული შეხვედრა. და საქმე მხოლოდ ის კი არაა, რომ ამ შეხვედრაში მოპოვებულ ქულებზე მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურის ბედი ჰკიდია. საქმე ამ ქვეყნების ოდინდელი საფეხბურთო შუღლია. როგორც ერთი, ასევე მეორე ქვეყნის პრესა-ტელევიზიაში რა ხანია დიდი კამპანიაა წამოწყებული. ატმოსფერო იმუხტება, ატმოსფეროს მუხტავენ.



ჯეფრი ჰერსტი

ამ კამპანიის ერთი ნაწილი გახლდათ 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, გერმანელთა კარში ჰეთ თრიქის (მათ შორის ერთი დღემდე საკამათო, ისტორიული გოლის) ინგლისელი ავტორის, სერ ჯეფ ჰერსტის ინტერვიუ, რომელიც ამ ფორვარდის გარდასულ კარიერასა და ანგლო-გერმანულ საფეხბურთო ურთიერთობებს ეხება.

**— ხანდახან ადამიანის ცხოვრებას ერთი დღე ცვლის. ოდესმე გიფიქრიათ, რა მოხდებოდა იმ დღეს ავად რომ გამხდარიყავით ან ფეხი გტკენოდათ?**

— არა, არასდროს მიფიქრია. ალბათ, იმიტომ, რომ გუნდის მუდმივი წევრი არასდროს ვყოფილვარ. მე რომ სულ მოედანზე ვყოფილიყავი და უცბად დამეკარგა ადგილი, სხვა იქნებოდა. აი, მაგალითად, ჯიმი გრივსი ამბობდა, რომ ინგლისის ნაკრების გამარჯვება მსოფლიოს ჩემპიონატზე მის გარეშე ვერ წარმოედგინა. და იცით, ჯიმი მართალი იყო, რადგან მას გოლები გაჰქონდა, ჩვენს თაობაში საუკეთესო თავდამსხმელი იყო. მე კი გუნდში რომ მოვხვდი, უკვე ბედნიერი ვიყავი, ოღონდ, ვფიქრობ, რომ ამას ნამდვილად ვიმსახურებდი.

**— 1964 წლიდან 66-მდე ორი საოცარი წელიწადი გქონდათ. მოიგეთ ასოციაციის თასი, თასების მფლობელთა თასი, მიგიწვიეს ნაკრებში და ბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰეთ თრიქი შეასრულეთ...**

— ხალხს არ ახსოვს, რომ 1962 წლამდე ნახევარმცველი ვიყავი და თავდასხმაში ამის შემდეგლა გადავინაცვლე. 27 შეხვედრაში 14 გოლი გავიტანე. ჩემთვის მაშინ ეს არაფერს ნიშნავდა. დღეს კი ასეთი ლეგისთვის გაზეთების პირველ გვერდებზე მოვხვდებოდი. შემდეგ, ორი წლის განმავლობაში, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალამდე, საუკეთესო ბომბარდირი ვხდებოდი. წელიწადში 40 გოლი გამქონდა და მიუხედავად ამისა, 22 წლისა ნაკრებში რომ ვიყავი, თავს ბედნიერად ვგრძნობდი. ვიმეორებ, მე ამას ვიმსახურებდი, თუმცა ჩემი სახელი ფინალისკენ მიმავალ გზაზე, პირზე ნამდვილად არ ეკერათ.

**— ხომ არ გწყინთ, უფრო ჰეთ თრიქის ავტორად რომ შემორჩით ისტორიას, ხოლო თქვენი სხვა მიღწევები მიივიწყეს? ბოლოს და ბოლოს, ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში მეოთხე ბომბარდირი ბრძანდებით.**

— არა, ეს ამბავი სულ არ მაწუხებს. ერთხელ ჯეკი ჩარლტონმა თქვა, შვიდასზე მეტი თამაში ჩამიტარებია, ხალხს კი მხოლოდ ერთი ახსოვსო. მართლა მხოლოდ ერთი თამაშით რომ ვახსოვდეთ, მაინც კმაყოფილი ვიქნებოდი, მაგრამ საბედნიეროდ, ის ერთი თამაში შემთხვევითობა არ ყოფილა. მე ყოველ მეორე თამაშში გოლი გამქონდა. „ვესტ ჰემის“ შემადგენლობაში, 12 წლის მანძილზე 500 შეხვედრაში მივიღე მონაწილეობა. კიდევ, ერთ თამაშში ექვსი გოლი გამიტანია, რაც უმაღლეს დონეზე ვერავინ გაიმეორა. ერთი სიტყვით, ჩემი კარიერა მეტი იყო, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი.

**— იმედი გაქვთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ჰეთ თრიქს ვეღარავინ შეასრულებს? იმედი გაქვთ, რომ ინგლისი ვეღარასდროს გახდება ჩემპიონი და თქვენს დიდებას ვერავინ ვერასდროს ხელყოფს?**

— თან კი, თან არა. მინდა, რომ სამი გოლი ვერასდროს ვერავინ გაიტანოს. მაგრამ მინდა, რომ ინგლისის ნაკრები კიდევ გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი. მე ხომ ინგლისის ნაკრების ფანი ვარ. ერთხელ მკითხეს, 2:0-ს რომ ვიგებდეთ და მაიკლ ოუენი პენალტს არტყამდეს, რა გენდომება, გაიტანოს თუ ააცილოსო. მე ვუპასუხე, რომ აცილება მენდომება. ჩვენ ხომ ისედაც 2:0-ს ვიგებთ. კიდევ, მინდა ინგლისმა 4:2 მოიგოს და ორ-ორი გოლი შირერმა და შერინგემმა გაიტანონ. ეს კარგი იქნება, როგორც ინგლისისთვის, ასევე ჯეფისთვის.

**— ბოლოს ლუდის საფასური როდის გადაგახდევინეს?**

— მართლაც, ხალხი სულ ჩემს დაპატიჟებას ცდილობს და იცით, ყველას რომ დავთანხმებულიყავი, მსოფლიოს ჩემპიონატიდან ერთ წელიწადში უკვე ლოთი ვიქნებოდი. როდესაც უცხო ადამიანი მპატიჟებს, სასიამოვნოა, მაგრამ როგორც წესი, უარს ვეუბნები.

**— წინა უქმეებზე ინგლისურმა კლუბებმა ითამაშეს, გერმანულებმა — არა. გერმანელი ფეხბურთელები ჩვენს ნაკრებთან შესახვედრად ემზადებოდნენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ კლუბებსა და ნაკრებს შორის ასეთმა ურთიერთობამ შესაძლოა, საქმე ისე გაგვიფუჭოს, რომ ვერასდროს ვერაფერი მოვიგოთ?**

— დაუწერელი კანონია, კლუბებს მოთამაშეების ნაკრებში გაშვება არ უყვართ. შიშობენ, რომ ისინი დაშავდებიან. ყველაზე დიდი პრობლემა კი კალენდარის გადატვირთვაა. კარგი იქნებოდა, პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობა 18-დან 16-მდე შეგვემცირებინა, მაგრამ კლუბები წინააღმდეგნი არიან. მე თუ მკითხავთ, ვინ გახდება ქვეყნის ჩემპიონი, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის, რომ ყველამ ერთად მსოფლიოს ჩემპიონობა მოვიპოვოთ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ინგლისი მსოფლიოს ჩემპიონი ვეღარ გახდება, რადგან ამისთვის ერთმანეთს ბევრი რამ უნდა დაემთხვეს: შინ უნდა ვთამაშობდეთ, იღბალი უნდა გვწყალობდეს და დიდი გუნდი უნდა გვყავდეს.**

— ჩავიხედოთ წიგნში. ვნახავთ, რომ ყველაზე დიდ წარმატებებს სტუმრად ვაღწევთ ხოლმე. რამდენი ხანია, სტუმრად არ დავმარცხებულვართ. ასე რომ, შინ ყოფნა ყველაფერს არ ნიშნავს, თუმც იმედია. ზოგადად კი, ჩვენ რომ ჩემპიონები გავხდით, ყველას ეგონა, ამიერიდან ინგლისი მსოფლიოს დაიპყრობსო, მაგრამ ხომ ხედავთ, მსოფლიოს თასის მოგება ძნელზე ძნელი საქმეა. მას მერე 35 წელიწადი გავიდა და ნახევარფინალზე წინ არ ვყოფილვართ.

**— მაშ, რაზე ოცნება გგონიათ რეალური?**

— ჩვენნაირ ქვეყანას, ჩვენებრი ნიჭით, სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში, ყოველ ჩემპიონატში სულ მცირე მეოთხედფინალისტთა ან ნახევარფინალისტთა შორის შეგვიძლია ტრიალი. გერმანია სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონი იყო, სხვა დროს კი სწორედ ამ ეტაპებზე ტრიალებდა. ჩვენ რით ვართ მათზე ნაკლები? გერმანელთა შეღევი და საქმიანობა სამაგალითოა. აქ მხოლოდ იღბალზე ლაპარაკი არ შეიძლება.

**თარგმნა ბაპუნა ძიძიამ**

CHAMPIONS LEAGUE

# უეფამ საქმე გაარჩია

## ტიროლი ლოკომოტივს არჩია

**გუშინ** უეფას სააპელაციო კომიტეტის წევრები, გერმანელი ვილჰელმ ჰენესი, სლოვენიელი მარკო ილეშიჩი და შოტლანდიელი პიტერ გარდინერი მაგიდას მიუსხდნენ, წინ მოსკოვის „ლოკომოტივის“ საჩივარი დაიდეს და საქმის გარჩევას შეუდგნენ. კარგა ხნის სჯა-ბაასის შემდეგ მომლოდინეთ განუცხადეს: წესი დაირღვა, მატჩი უნდა გადათამაშდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ავსტრიელებმა თავისი გაიტანეს, რუსები კი ხახამშრალი დარჩნენ.

ახლა, სჯობს, იმაზე ვთქვათ, რატომ შეიკრიბა ზემოთ ნახსენები პატივცემული საზოგადოება და რა საქმე გაირჩა უეფას სააპელაციო კომიტეტში.

უპირველესად, უნდა გავიხსენოთ ავსტრიული „ტიროლისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩი, რომელიც რუსებმა 1:0 მოიგეს და რადგან პირველ შეხვედრაში შინ 3:1 იმარჯვეს, ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე თამაშის უფლებაც მოიპოვეს. მაგრამ საქმეში ხარ? ავსტრიელებმა უეფაში პროტესტი აფრინეს, ჰოლანდიელმა მსაჯმა მარიო ვან დერ ენდემ რუსლან პიმენოვს ყვითელი ორჯერ უჩვენა, მოედნიდან კი არ გააძევაო. არადა, არბიტრს მეორე გაფრთხილება ვლადიმირ მამინოვზე ჩაეწერა. უეფამ მაშინვე გადათამაშება ბრძანა, რუსებმა კი ამას აპელაცია შეაგებეს, აქაოდა, მსაჯი შეცდა, რა ჩვენი ბრალიაო. სწორედ ეს აპელაცია განიხილეს გუშინ უეფაში და თავშიც ვთქვით, ყველაფერი ავსტრიელთა სასარგებლოდ გადაწყდა. „ტიროლი“ — „ლოკომოტივის“ გადათამაშება ამ დღეებშივე უნდა მოეწყოს, რადგან 11 სექტემბერს ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპი იწყება.

**ბაჩა ხურციძე**

Copa MercoNorte 2001

## მერკონორტეს თასი

### B ჯგუფი. III ტური

**მილიონარიოსი (კოლუმბია) 2:1 ნიუ ჯერსი მეტროსტარზი (აშშ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილიონარიოსი (კოლუმბია) | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| გვადალახარა (მექსიკა) | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ნიუ ჯერსი მეტროსტარზი (აშშ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| დეპორტივო (ვენესუელა) | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

### C ჯგუფი. III ტური

**ბარსელონა (ეკვადორი) 2:3 კანზას სიტი (აშშ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანტოს ლაგუნა (მექსიკა) | 2 | 2 | 0 | 0 | 7:3 | 6 |
| სპორტინგ კრისტალი (პერუ) | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| კანზას სიტი (აშშ) | 3 | 1 | 0 | 2 | 6:8 | 3 |
| ბარსელონა (ეკვადორი) | 3 | 0 | 1 | 0 | 5:8 | 1 |

### D ჯგუფი. II ტური

**ბლუმინგი (ბოლივია) 0:2 ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 6 |
| უნივერსიტარიო (პერუ) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ემელეკი (ეკვადორი) | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| ბლუმინგი (ბოლივია) | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

2001 COPA MERCOSUR

## მერკოსურის თასი

### A ჯგუფი. IV ტური

**უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) 1:0 სერო პორტენო (პარაგვაი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სერო პორტენო (პარაგვაი) | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| უნივერსიდად კათოლიკა (ჩილე) | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ვასკუ და გამა (ბრაზილია) | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |

## ბრაზილია

მე-8 ტური: პორტუგეზა — გუარანი 1:2; ფლამენგო — კურიტიბა 0:1; კრუზეირო — ბაია 1:1; სან კაეტანო — პარანა 4:1; ბოტაფოგო — სპორტ რესიფე 3:1; ვიტორია — პალმეირასი 1:3; პონტე პრეტა — გრემიო 3:2; გოიასი — ფლუმინენსე 2:0; ინტერნასიონალი — ბოტაფოგო რიბეირაო 2:0; ჟუვენტუდე — სან პაულუ 3:3; კორინთიანსი — გამა 2:2; ამერიკა — ვასკუ და გამა 1:1; ატლეტიკო პარანენსე — სანტოსი 1:1; სანტა კრუზი — ატლეტიკო მინეირო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი | 8 | 6 | 1 | 1 | 19:10 | 19 |
| ატლეტიკო მინეირო | 8 | 5 | 2 | 1 | 15:4 | 17 |
| ინტერნასიონალი | 8 | 5 | 1 | 2 | 13:8 | 16 |
| სან პაულუ | 8 | 4 | 3 | 1 | 17:10 | 15 |
| პონტე პრეტა | 8 | 4 | 3 | 4 | 12:11 | 15 |
| გოიასი | 8 | 4 | 2 | 1 | 9:4 | 14 |
| ატლეტიკო პარანენსე | 8 | 4 | 2 | 2 | 11:8 | 14 |
| კურიტიბა | 8 | 4 | 2 | 2 | 10:9 | 14 |
| ფლუმინენსე | 8 | 3 | 4 | 1 | 13:11 | 13 |
| სან კაეტანო | 8 | 3 | 4 | 1 | 9:8 | 13 |
| ბოტაფოგო | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 |
| სანტოსი | 8 | 2 | 6 | 0 | 9:6 | 12 |
| ჟუვენტუდე | 8 | 2 | 5 | 1 | 10:10 | 11 |
| ვასკუ და გამა | 8 | 2 | 4 | 2 | 14:6 | 10 |
| ბაია | 8 | 3 | 1 | 4 | 12:11 | 10 |
| პორტუგეზა | 8 | 3 | 1 | 4 | 7:8 | 10 |
| კორინთიანსი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:12 | 9 |
| პარანა | 8 | 3 | 0 | 5 | 9:13 | 9 |
| ვიტორია | 8 | 2 | 3 | 3 | 6:11 | 9 |
| გრემიო | 8 | 2 | 2 | 4 | 8:11 | 8 |
| გამა | 8 | 1 | 5 | 2 | 8:10 | 8 |
| კრუზეირო | 8 | 2 | 2 | 4 | 9:11 | 8 |
| სპორტ რესიფე | 8 | 2 | 1 | 4 | 9:13 | 7 |
| ფლამენგო | 8 | 2 | 1 | 5 | 4:10 | 7 |
| ამერიკა | 8 | 1 | 3 | 4 | 7:10 | 6 |
| სანტა კრუზი | 8 | 1 | 3 | 4 | 10:17 | 6 |
| გუარანი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:20 | 5 |
| ბოტაფოგო რიბეირაო | 8 | 1 | 1 | 6 | 6:16 | 4 |

## არგენტინა

მე-3 ტური: როსარიო სენტრალი — რასინგი 0:1; ურაკანი — ლანუსი 1:2; ინდეპენდიენტე — ნიუელს ოლდ ბოიზი 0:1; ნუევა ჩიკაგო — ხიმნასია (ლა პლატა) 0:0;ველეს სარსფილდი — ბელგრანო 0:1; ბანფილდი — სან ლორენსო 2:2; ესტუდიანტესი — ჩაკარიტა ხუნიორსი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელგრანო | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| ნიუელს ოლდ ბოიზი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:1 | 7 |
| სან ლორენსო | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| რასინგი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 7 |
| რივერ პლეიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| ლანუსი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| ჩაკარიტა ხუნიორსი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| ხიმნასია | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| ინდეპენდიენტე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| არგენტინოს ხუნიორსი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| როსარიო სენტრალი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| ესტუდიანტესი | 3 | 0 | 2 | 1 | 3:6 | 2 |
| კოლონი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| უნიონი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| ნუევა ჩიკაგო | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ურაკანი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| ველეს სარსფილდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ბანფილდი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:9 | 1 |
| ბოკა ხუნიორსი | 3 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |
| ტალერესი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:7 | 0 |


იყიდება სასწრაფოდ!



შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი“, ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

ტელ: 22-23-15



ქუთაისში

☎ (231) 7 17 58

იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე. საცხოვრებელი ფართი 250 მ². დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე.

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7. კინოთეატრ "სულიკოსთან"


## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „არსენალი“ დანიის ჩემპიონ „კოპენჰაგენის“ სამხრეთაფრიკელი მეგოლე სიბუსისო ზუმათი დაინტერესდა და მზადაა, სკანდინავიელებს 60 მილიონი კრონა (7,4 მილიონი დოლარი) გადაუხადოს. 26 წლის ზუმას თამაშით არსენ ვენგერი რომის „ლაციოსთან“ ორრაუნდიან მატჩში მოიხიბლა. ამ ცნობამ, ცხადია, ზუმას ყურამდეც მიაღწია: „ინგლისური პრემიერლიგა ერთ-ერთი უძლიერესია ევროპაში და ძალიანაც მომწონს. მადლობა „არსენალს“, მაგრამ მე ჯერ ბევრი რამ უნდა დავამტკიცო „კოპენჰაგენში“. ამ ეტაპზე სჯობს, აქ დავრჩე, რათა ინგლისში სათამაშოდ მომზადებული წავიდე.“ „კოპენჰაგენის“ დირექტორმა ფლემინგ ოსტერგაარდმა კი თქვა: „ზუმა ჩინებული ფეხბურთელია, ინგლისში თამაშს ნამდვილად იმსახურებს, თუმცა მას კონტრაქტის ვადა არ გასვლია და რამდენადაც ვიცი, ჯერ ჩვენთან სურს დარჩენა.“ ქუთაისის „ტორპედოს“ გამაწარებელი სიბუსისო ზუმა დანიის ჩემპიონმა 2000 წლის მარტში სამხრეთაფრიკული „ორლანდო პაირატსიდან“ შეიძინა. ფეხბურთელის უმთავრესი ოცნება კი ეროვნული გუნდის მაისურის მორგებაა.

**იტალიური** „ბოლონიას“ პრეზიდენტ ჯუზეპე გაცონის განზრახვაზე, თანამდებობა დაეტოვებინა, „სარბიელმა“ უკვე გაუწყათ. სააგენტო ANSA-ს ცნობით, გუშინ გაცონიმ „ბოლონიას“ ტიფოზთა კრიტიკას ველარ გაუძლო და წასვლაც ამიტომ გადაწყვიტა.

**არგენტინული** „სან ლორენსოს“ პრეზიდენტი ფერნანდო მიელე აცხადებს, რომ ორშაბათს გადაწყდება, გადავა თუ არა ამ კლუბის ორი ახალგაზრდა ფეხბურთელი — ბერნარდო რომეო და ლეანდრო რომანიოლი გერმანულ „ლევერკუზენში“. „რაღაც დეტალები ჯერ კიდევ დასაზუსტებელია. ორშაბათს „ლევერკუზენის“ უფროსობას შევხვდები და რომეო- რომანიოლის ტრანსფერის თაობაზე საბოლოოდ მოვილაპარაკებთ“ — აცხადებს არგენტინის ჩემპიონთა პრეზიდენტი.

**იტალიურმა კლუბებმა** — მილანის „ინტერმა“ და „ბოლონიამ“ ერთმანეთში მცველები გაცვალეს. სალვატორე ფრეზი, რომელიც შარშანდელ სეზონში იჯარით „ნაპოლიში“ თამაშობდა, ფრანჩესკო გვიდოლინის გუნდში, „ბოლონიაში“ გააგრძელებს კარიერას, ხოლო პასკუალე პადალინო, რომელსაც ბოლონიურ კლუბამდე „ფოჯაში“, „ლეჩესა“ და „ფიორენტინაში“ უთამაშია, ექტორ რაულ კუპერის გუნდში ითამაშებს.

**შვედი** მწვრთნელი კენტ კარლსონი დანიური „კოპენჰაგენიდან“ თავისი ნებით წავიდა, მიზეზად ოჯახში შექმნილი პრობლემა დაასახელა. კარლსონმა „კოპენჰაგენი“ „ულინეზეში“ წასულ როი ჰოჯსონისგან სულ ორი თვეა, რაც ჩაიბარა, გუნდი ჩემპიონთა ლიგაშიც ათამაშა, თუმც „კოპენჰაგენისთვის“ რომის „ლაციოსთან“ შესარჩევი ეტაპი დაუძლეველი აღმოჩნდა. „საწყენია, რომ მან დაგვტოვა. ოჯახური პრობლემა კი მოიმიზეზა, მაგრამ ვფიქრობ, ეს არაა მთავარი. კენტი თავმდაბალი კაცია, ალბათ, თვლიდა რომ დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ გაართმევდა, ჩვენ კი მას სრულად ვენდობოდით“ — განაცხადა დალონებულმა „კოპენჰაგენის“ დირექტორმა ფლემინგ ოსტერგაარდმა.

**ესპანელ** ნახევარმცველ ივან დე ლა პენიას უიღბლობა გრძელდება. ცნობილი გახდა, რომ რომის „ლაციო“ მას ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეყვანას არ უპირებს. უეფაში განაცხადების წარდგენის ვადა გუშინ ამოიწურა. „ბარსელონას“ ყოფილმა ფეხბურთელმაც სხვა კლუბების ძებნა დაიწყო. დე ლა პენიას მსურველი ორი გუნდი კი უკვე ცნობილია — სანტანდერის „რასინგი“ და ფრანგული „მონაკო“.

**არგენტინული** „ბოკა ხუნიორსის“ ყმაწვილმა პლეიმეიკერმა ხუან რომან რიკელმემ ტრავმა მოიშუშა და ვარჯიში უკვე დაიწყო. რიკელმეს მინდორზე დაბრუნებას „სუპერკლასიკისას“ ელიან, ანუ მაშინ, როცა „ბოკა ხუნიორსი“ მარადიულ მოსისხლე მტერ „რივერ პლეიტს“ შეხვდება არგენტინის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში. თუმცა რიკელმეს მანამდე სურს მწვანე მინდორზე გასვლა. „მინდა, ჯერ „ჩაკარიტასთან“ ვითამაშო, რათა „რივერთან“ შეხვედრას უკეთ მომზადებული შევხვდე.“

**ინგლისურმა** „ლივერპულმა“ ფრანგი მცველი ჯიმი ტრაორე სამშობლოში დააბრუნა და „ლანსში“ გაანათხოვრა. 21 წლის ფეხბურთელის გადაბირება „ბლექბერნ როვერს“ სურდა, თავად ტრაორე კი „ენფილდის“ დატოვებას არც აპირებდა. იგი „ლივერპულის“ დუბლებში კაპიტანი გახლდათ და ძირითად გუნდშიც უნდოდა თამაში, მაგრამ მერსისაიდული კლუბის უფროსობამ სხვაგვარად ინება. წუხელ კი ლივერპულელებმა პოლონელი მეკარე ირჟი დუდეკი რომ ვერ გადაიბირეს, ინგლისის ახალგაზრდული ნაკრების გოლკიპერი კრის კირკლენდი შეიძინეს. კირკლენდი გუშინდლამდე „ქოვენთრის“ წევრი გახლდათ.

**ჩეხი** ნახევარმცველი პაველ ჰორვატი ლისაბონის „სპორტინგიდან“ სტამბოლის „გალათასარაიში“ გადადის. „თურქული კლუბის ბოსებს ყველაფერზე შევუთანხმდი, სატრანსფერო თანხაზეც და ოთხწლიანი კონტრაქტის პირობებზეც, რაზედაც „გალათასარაი“ დამთანხმდა, ახლა მხოლოდ კონტრაქტზე ხელის მოწერაღა დარჩა. იმედი მაქვს, მირჩა ლუჩესკუ ჩემპიონთა ლიგაშიც მათამაშებს“ — თქვა ჩეხეთის ნაკრების ნახევარმცველმა.

**ინგლისურ** „ვესტ ჰემსა“ და იტალიურ „ფიორენტინას“ შორის მოლაპარაკება ჩეხმა მცველმა ტომაშ რეპკამ თავად ჩაშალა. ფეხბურთელი სანაკრებო მატჩების მერე ნისლიან ალბიონზე უნდა გადაბარგებულიყო, მაგრამ გადაწყვეტილება, როგორც რეპკა ამბობს, სწორი მიიღო. „ახლა კლუბის გამოცვლა უაზრობაა, მინდა, კვლავაც „ფიორენტინას“ ვემსახურო“ — აცხადებს ფეხბურთელი, მაგრამ აძლევს კი ხელს „ფიოს“, რომელიც ვალებშია ჩაფლული, ახლა პატრიოტიზმი? ფლორენციული კლუბი ვალების დაფარვას წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვით აპირებდა, ტოლდო და რუი კოშტაც ამიტომ გაყიდა. „ვესტ ჰემის მწვრთნელ გლენ რიოდერს კი ამ იტალიური კლუბის მეორე ფეხბურთელმა უგანა. რეპკამდე რიოდერს ალესანდრო პიერინის გადაბირება სურდა.

**იტალიური** „მილანის“ ფრე 2:2 სერია A-ს პირველ ტურში „ბრეშასთან“ აპენინელმა სპეციალისტებმა თუ ჟურნალისტებმა არგენტინელ მცველ ხოსე ანტონიო შამოტს დააბრალეს და „მილანის მე-16 ნომერსაც კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხეს. თუმც შამოტმა ყოველივე საოცარი სიმშვიდით აღიქვა და განაცხადა: „მესმის, ბრეშაში ცუდად ვითამაშეთ, ჯოხი განსაკუთრებით ჩემზე გადატეხეს, მაგრამ ყურების ჩამოყრას არ ვაპირებ. ვაღიარებ, ცუდად ვითამაშე. მიუხედავად ამისა, ფატიჰ თერიმს ჩემი კიდევ სჯერა, ეს მან თავად მითხრა და მეც ახლა დიდი მონდომებით ვარჯიშობ, რათა „მილანის“ ძირითადში ადგილი მოვიპოვო. ასე რომ, საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ, ფეხბურთის თამაში ერთი წლის წინ არ დამიწყია“.

**რუმინელმა** ვეტერანმა გეორგე „ჯიკა“ პოპესკუმ, რომელიც ზაფხულში თურქული „გალათასარაიდან“ იტალიურ „ლეჩეში“ გადავიდა, განაცხადა, რომ ორი წლის მერე, როცა ფეხბურთის თამაშს მიატოვებს, მწვრთნელობას დაიწყებს. საამისოდ მან ნიადაგი უკვე შეამზადა და მშობლიურ კრაიოვაში საფეხბურთო ლიცეუმი შექმნა. „თამაშს რომ შევეშვები, მინდა, ჩემი უზარმაზარი გამოცდილება ჯერ ბავშვებს გავუზიარო, მერე კი ალბათ რომელიმე რუმინულ გუნდს გავწვრთნი“ — აცხადებს რუმინეთის ეროვნულ გუნდში გეორგე ჰაჯის თხოვნით დაბრუნებული ვეტერანი.

**შოტლანდიის** ჩემპიონი გლაზგოს „სელტიკი“ ესპანური „ვალენსიას“ არგენტინელი ცენტრალური მცველით, მაურისიო პელეგრინოთი დაინტერესდა და მზადაა, 8 მილიონი დოლარიც გაიღოს. „სელტიკს“ ორი წამყვანი მცველი — იოს ვალგაერენი და იოჰან მიალბი დაემტვრა და პელეგრინოს შეძენასაც სასწრაფოდ ამიტომ ლამობს.

**შვეიცარიის** ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველი რაფაელ ვიკი დაშავდა და სულ ცოტა, ორი თვე ვერ ითამაშებს. 24 წლის ფეხბურთელმა, ეროვნული გუნდის შეკრებაზე მიიღო მარჯვენა მუხლის ტრავმა. ამგვარად, რაფაელ ვიკი დღევანდელ მატჩს იუგოსლავიის ნაკრებთან გამოტოვებს. მას გუშინ ციურიხში ოპერაცია გაუკეთეს.

**ჰოლანდიურმა** „ფეიენოორდმა“ არნემის „ვიტესში“ იჯარით გაშვებული ევინ ზოტებირი დაიბრუნა. ზოტებირი „ფეიენოორდში“ ერთი წლის წინათ იყო, მაგრამ პოლონელი ირჟი დუდეკის კონკურენციას რომ ვერ უძლებდა, „ვიტესშიც“ გადასვლა ამიტომ არჩია. ახლა კი როტერდამულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ესპანურმა** „სელტამ“ ლონდონის „არსენალიდან“ ბრაზილიელი მცველი სილვინიო შეიძინა და მას ხუთწლიანი კონტრაქტიც გაუფორმა. გალისიელებმა ახალწვეული უეფას თასის მატჩებისთვის წუხელ განაცხადშიც შეიყვანეს. „სილვინიო ჩინებული ფეხბურთელია, იგი ჩვენი გუნდის დაცვას გაამყარებს“ — იმედიანადაა „სელტას“ პრესატაშე ატილანო ვეჩინო.

სამი ერის პირველობა

# გუდ ბაი, მისტერ ილზ! სამი ერი მეექვსედ სიდნეიში დასრულდება

**ავსტრალიური** გაზეთები წერენ, რომ მათ ეროვნულ ნაკრებს მინიმუმ ორი მშვენიერი მიზეზი აქვს გამარჯვების მოსაპოვებლად. პირველი, ტიტულის შენარჩუნება და მეორე, ჯონ ილზის საკადრისი გაცილება.

ჰო, მართლა, „ვოლაბები" დღეს ახალ ზელანდიას მასპინძლობენ და ლაპარაკი ამ მატჩზეა. ესაა სამი ერის რიგით მეექვსე ჩემპიონატის ბოლო შეხვედრა, რომელიც ტურნირის ფინალად ქცეულა. ამის მიზეზი კი მესამე მონაწილე სამხრეთ აფრიკაა, რომელმაც უკვე ყველა მატჩი ითამაშა და ზედიზედ მესამედ ბოლო ადგილსაც დაესაკუთრა.

ჩემპიონობის შანსებს კი ორივე დღევანდელი მეტოქე ინარჩუნებს. თუ მასპინძლები მოიგებენ, ისინი ქულებით გადაასწრებენ სტუმრებს, საწინააღმდეგო შემთხვევაში „შავები" შეინარჩუნებენ პირველ ადგილს. თუმცა ისეც შეიძლება მოხდეს, რომ ორივე გუნდმა ქულათა ერთნაირი რაოდენობა დააგროვოს, რაც ნაკლებ სავარაუდოა. თუ თამაში ფრედ დასრულდა რაც ჯერჯერობით ექვს ჩემპიონატში ოდენ ერთხელ მოხდა) და ავსტრალიამ 4 ან მეტი ლელო გაიტანა, ახალმა ზელანდიამ კი ვერა, მაშინ მეტოქეებს 10-10 ქულა ექნებათ. ოღონდ გადათამაშებებს და დამატებით დროს მაინც ვერ „ველირსებით", რადგან ამ შემთხვევაში ავსტრალიელები ბურთების უკეთესი თანაფარდობის ხარჯზე მიაღწევენ წარმატებას.

მთელი ამ მსჯელობიდან გამომდინარე, ედი ჯონსის შეგირდებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს, უეინ სმიტი და მისი გუნდი კი ფრეზეც ყაბულს არიან. სამ ერში უძლიერესის სახელის პირველად შარშან მომპოვებელი ავსტრალია ფავორიტად ითვლება. ოზებს სიდნეის სტადიონზე მისული თავიანთი 90 ათასი გულშემატკივრის მხარდაჭერის გარდა პატარა ფსიქოლოგიური უპირატესობაც აქვთ. ამ ორი ნაკრების ბოლო 8 ურთიერთშეხვედრიდან 6 სწორედ მათი გამარჯვებით დასრულდა, თანაც ორიოდ კვირის წინ მათ დღევანდელი მეტოქე მისსავე მოედანზე, დანიდინის ლეგენდარულ „ქარისბრუკზე" გააკრეს ბეჭებზე. აქამდე „ტკივილის სახლში" ავსტრალიას ერთხელაც ვერ მოეგო.

31 წლის ჯონ ილზისთვის, რომელიც ორგზის მსოფლიოს ჩემპიონია და ნაკრებს 1996 წლიდან თავკაცობს, დღეს ჩემპიონობა უდიდესი საჩუქარი იქნება, მაგრამ ოზები ამაზე მაინც არ აკეთებენ მთავარ აქცენტს. „მთლიანად ილზის გაცილებაზე ფიქრი გვავნებდა. მატჩის შემდეგ წავალთ, ერთ-ორ ჭიქას გადავკრავთ და მოგონებებში ჩავიძირებით, ოღონდ ეს მხოლოდ მატჩის შემდეგ იქნება" — თქვა ილზის სავარაუდო მემკვიდრე ჯორჯ გრეგანმა.

ახლა გუნდების შემადგენლობებზე ვთქვათ ცოტაოდენი. ედი ჯონსის შერჩეულთა შორის ერთადერთი ცვლილებაა, ძირითადში დაბრუნდა დევიდ გიფინი, რომელსაც დისკვალიფიკაცია ჰქონდა. იგი სამხრეთ აფრიკაში მატჩისას, რობი ფლეკისთვის იდაყვის ჩარტყმის გამო იყო დასჯილი.

„ამ გადაწყვეტილების მიღება ერთობ გამიჭირდა, მაგრამ ასეთი მნიშვნელობის მატჩში დევიდის გამოცდილება ძალიან გამოგვადგება" — განაცხადა ჯონსმა და ილზს შერკინების მეორე ხაზში ჯასტინ ჰარისონის მაგივრად გიფინი შეუწყვილა.

ერთადერთი პოსტი, რომელიც ბოლო მომენტამდე თავისუფალი იყო, მარცხენა ფრთაა. წინა ტურში პერტში ჩასვლადაგვიანებული ენდრიუ უოლკერი ჯონსმა კი დააბრუნა ნაკრებში, მაგრამ მას მუხლი სტკენია ვარჯიშზე და შეიძლება დღეს კრის ლეითემმა შეცვალოს. საბოლოო გადაწყვეტილება ზედ მატჩის წინ უნდა მიელო ჯონსს და ამიტომ მის შესახებ ვერაფერს გეტყვით.

ახალი ზელანდიის დამრიგებელ უეინ სმიტს საერთოდ არანაირი ცვლილება არ განუხორციელებია. ძირითადი შემადგენლობა აბსოლუტურად იდენტურია იმისა, რომელმაც ერთი კვირის წინ ოკლენდში სამხრეთ აფრიკა დაამარცხა. ერთადერთი სიახლე სათადარიგოთა სკამზე ველინგტონელი კრისტიან კალენის გამოჩენაა, რომელმაც როგორც იქნა მოიშუშა ტრავმა. სმიტმა იგი დაგ ჰოულეტს ამჯობინა და თავისი არჩევანი იმით ახსნა, რომ კალენს უკანა ხაზში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში.

**გაგი გურული**



ნავარჯიშევს ახალზელანდიელთა კაპიტანი ენტონ ოლივერი დღევანდელი მატჩის სარბიელს გასცქერის

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ავსტრალია:** ბერკი, ლეითემი ან უოლკერი, ჰერბერტი, გრეი, როფი, ლარკემი, გრეგანი; სტაილსი, ფოლი, მური, გიფინი, ილზი (კაპ), ფინიგანი, კეფუ, სმიტი; სათადარიგონი: ქენონი, დარვინი, კოკბეინი, ვოფი, ვიტაკერი, ფლეტლი, ლეითემი ან უოლკერი

**ახალი ზელანდია:** მაკდონალდი, უილსონი, უმაგა, ალატინი, ლომუ, მერთენსი კელეჰერი; ჰოფტი, ოლივერი (კაპ), სომერვილი, მაქსველი, ჯეკი, ფლეველი, რენდელი, კრიბი; სათადარიგონი: ჰემეტი, ჰეიმანი, კუკსლი, ჰოლა, მარშალი, ბრაუნი, კალენი

**მსაჯი:** ჰენინგი (სამხრეთ აფრიკა)



# მე ვარ პედერასტი? აბა, შენი და მომიყვანე!



*WBC-ს, IBC-ის და IBO-ს მძიმეწონოსანი ჩემპიონი ჰასიმ რაჰმანი და ლენოქს ლუისი კალიფორნიაში, კერძოდ ანაჰაიმში, ESPN-ის სტუდიაში ერთმანეთს ხელით შეეხენ. აქ ისინი მათი 17 ნოემბრის ბრძოლაზე სასაუბროდ იყვნენ მიწვეული.*

*მიზეზი რაჰმანის ადრინდელი რადიოინტერვიუ გახლდათ. ლუისს არ მოსწონებია, მისი დამნოკაუტებლის ნათქვამი, ლუისი პედერასტივით იქცევაო.*

*„მე ასი პროცენტით მამაკაცი ვარ, ქალების მოყვარული მამაკაცი და თუ რაჰმანს ამაში ეჭვი ეპარება თავისი და მომიყვანოს. თუ უნდა ნებისმიერი სხვაც მომგვაროს"*

*„ჩემს ოჯახს ნუ ეხები" — შეეპასუხა ლუისი.*

*„ფრთხილად, ჩემთან ლაპარაკის დროს" — შეუღრინა ლუისმა — „შენ არავინ ხარ, მე კი შენზე რასაც მინდა, იმას ვიტყვი".*

*ამის შემდეგ მძიმეწონოსნები ხელით შეეხენ ერთმანეთს.*

*„ისე წამოდგნენ. მეგონა ჩვეულებრივად ცხვირებს მიაბჯენდნენ, მაგრამ გავიხედე და ჩხუბი ატეხეს" — ამბობდა მერე გადაცემის წამყვანი მილერი.*

*პირველმა ლუისმა დაარტყა. ისინი დაგორდნენ იმ მაგიდაზე, რომელთანაც ისხდნენ. გადაცემის პროდიუსერმა ჩარლი მოინიანმა თქვა, რომ ეს წინასწარ მოფიქრებულს არ ჰგავდა.*

*„მე თუ მკითხავთ, ეს ჩაწყობილი არ იყო" — განაცხადა მან — „ამ ორ კაცს ერთმანეთი სძულს. მოკრივეები შოუში ადრეც გვყოლია, მაგრამ ჩხუბი არასდროს ამტყდარა".*

**ტუტა სიხარულიძე**



# ჩახოიანმა ასანიძეს მოუგო, რეკორდი წაართვა და... სომხური კონიაკი მსოფლიოში საუკეთესოაო

**ავსტრალიის** ქალაქ ბრისბენში მიმდინარე კეთილი ნების თამაშებზე გუშინ 85-კილოგრამიანი ძალოსნების შეჯიბრება გაიმართა. სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორმა გიორგი ასანიძემ აქაც მესამე ადგილი დაიკავა. ასანიძემ ატაცში 170 კილოგრამი დაძლია, აკვრაში პირველ ცდაზე 195 კილოგრამს მოერია, მაგრამ მერე ორჯერ მოეცარა ხელი 202,5 კილოგრამზე და ასპარეზობა 365-კილოგრამიანი ჯამით დაასრულა.

გუშინ კი ძალიან ჯანზე იყო გაავსტრალიელებული სომეხი სერგო ჩახოიანი. ატაცში მისი შედეგი 181,5 კილოგრამი გახლდათ, რაც ნახევარი კილოგრამით მეტია გიორგი ასანიძის შარშანდელ მსოფლიოს რეკორდზე. მერე ჩახოიანმა 210 კილოგრამი აჰკრა და ჯამში 390 კილოგრამით დამაჯერებლად მოიგო კეთილი ნების თამაშები.

ჩახოიანი 31 წლისაა. ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადაზე სომხეთის სახელით მეექვსე ადგილი დაიკავა. იგივეს მიაღწია სიდნეის 2000 წლის თამაშებზეც, ოღონდ უკვე როგორც ავსტრალიის ნაკრების წევრმა. კეთილი ნების თამაშებისთვის ჩახოიანი მშობლიურ სომხეთში ხუთი თვის განმავლობაში ემზადებოდა. მას თამაშების ორგანიზატორებისგან ჯილდოდ 31 ათასი დოლარი ერგო, აქედან 25 ათასი — მსოფლიოს რეკორდის დამყარებისთვის. აღსანიშნავია, რომ ეს მიმდინარე თამაშების პირველი მსოფლიოს რეკორდია. ავსტრალიელ ძალოსნებს 1993 წლიდან მოყოლებული არ გადაებიჯებინათ სარეკორდო ზღვარისთვის. მაშინ ამის გაკეთება ნიკუ ვლადმა მოახერხა, თუმცა ისიც ისეთი ავსტრალიელი იყო, როგორც ჩახოიანი — ვლადი რუმინელი გახლდათ.

ჩახოიანმა ძლიერ გაიხარა გამარჯვებით და რეკორდით და აღნიშნა: „ახლა წავალ და წარმატების აღსანიშნავად სომხურ კონიაკს დავლევ. ყველამ კარგად იცის, რომ სომხური კონიაკი მსოფლიოში საუკეთესოა" — ამგვარი, ჭეშმარიტად სომხური ფრაზით დაასრულა პრესკონფერენცია მსოფლიოს ახალმა რეკორდსმენმა.

მეორე ადგილზე ჯამური 370 კილოგრამით ბულგარელი მილენ დობრევი გავიდა.


სერგო ჩახოიანი მსოფლიოს რეკორდსმენად იდგება


**იყიდება**

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე, 170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით, 150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით

ტელ: 78 28 77



**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

# რატომ დაიხლის თავში ტყვიას საფინი?



მარატ საფინი თავდაჯერებას იბრუნებს



ვინუს უილიამსის გამარჯვება მამამისმა რიჩარდმა ფოტოაპარატით დააფიქსირა

REUTERS ნიუ იორკიდან

**ხუთშაბათს** ამერიკის ღია ჩემპიონატის მეორე წრის მატჩებისას არავინ მოელოდა, თუ ქვემეხები თავად აღმოჩნდებოდნენ არტილერიის ზალპქვეშ. ჩემპიონის ტიტულის დასაცავად მებრძოლი მარატ საფინი და ამავე ასპარეზობის ორგზის ჩემპიონი ანდრე აგასი დიდი ტანჯვა-წამების შემდეგ ხელიდან დაუსხლტნენ „მომხდურებს". მესამე წრეში გასაღწევად მათ დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. უნდა ითქვას, რომ მეორე წრის 13 შეხვედრიდან ყველაზე დაძაბული და უშელავათო საფინისა და აგასის მეტოქეებთან ბრძოლა გახლდათ. 21 წლის ზორბა რუსს თითოეული გოჯისთვის საკმაო ოფლის ღვრა დასჭირდა. ხუმრობა ხომ არაა, ოთხი სეტი გამართო და ორმაგად დაიხარჯო. ორმაგად იმიტომ, რომ ხორვატ ივან ლუბიჩიჩთან ოთხივე სეტი ტაი-ბრეიკამდე მივიდა — 7:6 (7:5), 6:7 (2:7), 7:6 (7:5), 7:6 (7:5). ასეთი რამ უიშვიათესია. არადა, ხორვატი მატჩისას ვერაფრით ეგუებოდა იმ აზრს, რომ რუსთან შეიძლებოდა წაეგო, მით უმეტეს, რომ ამ ზაფხულს საფინი ორჯერ დაემარცხებინა, რომ არაფერი ვთქვათ მის მიერ ანდრე აგასისა და როლან გაროსის ექსჩემპიონ კარლოს მოიას ძლევაზე. ლუბიჩიჩმა ყველაზე მეტად მაშინ გამოილო ხელი, როდესაც მეოთხე სეტი მიმდინარეობდა. მან ორი მატჩ-პოინტიც კი გადაარჩინა, თუმც ჯანიანმა რუსმა, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ხშირად ცდებოდა (38 უნებლიე შეცდომა დაუშვა), მეოთხე სეტის ტაი-ბრეიკზე მატჩ-პოინტი აღარ გაანიავა, შეხვედრა ყუმბარისებური ეისით დააგვირგვინა (219 კმ. საათში) და გამარჯვების აღსანიშნავად ბურთი ცენტრალური კორტის ზედა იარუსისკენ მოისროლა. ორთაბრძოლამ კი სამ საათსა და 27 წუთს გასტანა.

„ძალიან მძიმე დღე გამითენდა. ცოტა მეშინოდა კიდეც, მაგრამ როგორც იქნა, ამ საშინელებას დავუძვერი. ვიმედოვნებ, ეს ყველაზე რთული შეხვედრა იყო. მეყოფა, რაც ვიწვალე. მოხარული ვარ, რომ ეგ ბიჭი დავამარცხე. ჩემთვის ეს ერთობ მნიშვნელოვანია. ფორმას ვიბრუნებ. ყოველდღიურად თავს უკეთ და უკეთ ვგრძნობ. ასეთი მატჩის გადატანა სასარგებლოცაა და საჭიროც. მართალია, ვწვალობ, მაგრამ კარგია, როდესაც ბრძოლით იგებ — საკუთარ განცდებს გვიზიარებს საფინი და იქვე იმედს გამოთქვამს, რომ ცენტრალურ კორტზე ჩატარებული მატჩი წერტილს დაუსვამს მის ადრინდელ უიღბლობას — რა თქმა უნდა, მახსოვს ის დრო, როდესაც აქ, ამ კორტზე, პიტ სამპრასი დავამარცხე. დღეიდან ახალი ცხოვრების დაწყებას ვაპირებ. უკან უნდა დავიბრუნო თავდაჯერება. კარგად ვითამაშებ და კვლავაც მოვიგებ. წარსულს უნდა ჩაბარდეს წარუმატებლობა. საშინელი წელი მქონდა, ერთი ტურნირიც კი არ მომიგია. მესმის, რომ ეს ჩემი გასაკეთებელია. დარწმუნებული ვარ, უკეთესი დროებაც დადგება. კიდევ რამდენიმე დიდი სლემის მოგება მსურს, შევძლებ კიდეც. სხვაგვარად თავში ტყვიას დავიხლი.

რა სჯობია, როდესაც „ოუფენს" იგებ. ეს ხომ განუმეორებელი გრძნობაა, რადგან ამ დროს ბრწყინვალე მიზეზი გაქვს დიდი წვეულება მოაწყო მეგობრებთან ერთად. ამიტომაცაა, აქ რომ მოვედი. მინდა, გამარჯვების გემო გავიხსენო".

მეორე წრის გადალახვა გაუჭირდა ანდრე აგასისაც. რუსის არ იყოს, მანაც საკმაო ხანს დაჰყო კორტზე. ჩილელ ნიკოლას მასიუსთან ასპარეზობისას საქმე ოთხ ტაი-ბრეიკამდე არ მისულა, მაგრამ პირველი სეტი თავზოტორა ამერიკელს კარგს არაფერს უქადდა, რადგან ამ შემთხვევაში ჩილელი უკეთ გაისარჯა და დაძაბულ ბრძოლაში ავსტრალიის წლევანდელ ჩემპიონს ტაი-ბრეიკზე სძლია 7:6 (7:4).

„ჩემი გამოცდილება მეუბნება, რომ ხიფათს დროზე დავაღწიე თავი" — შეხვედრის შემდეგ იტყვის აგასი.

მართლაც იმ დღეს სამხრეთამერიკელი აღმაფრენით თამაშობდა არაერთი თავსატეხი გაუჩინა 1994 და 1999 წლების ამერიკის ღია პირველობის მომგებს. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ ამერიკელი სამი საათი და 20 წუთი კი არ იყურყუტებდა ცენტრალურ კორტზე, საქმეს უფრო ადრე მოათავებდა, როგორც ეს წლევანდელ უიმბლდონზე გააკეთა, როდესაც უმოკლეს დროში ზედიზედ სამი სეტი ულაპარაკოდ მოუგო (6:3, 6:1, 6:1).

არადა, შეიძლებოდა აგასისა და მასიუს ორთაბრძოლა კიდევ დიდხანს გაგრძელებულიყო, მაგრამ ბოლო, მეოთხე სეტში ამ უკანასკნელმა ვერ იყოჩალა. მართალია, ზედიზედ სამი მატჩპოინტი გადაარჩინა და საქმე ტაი-ბრეიკამდეც მიიყვანა, მაგრამ აქ უკვე აგასი მოეგო დროზე გონს და შეხვედრას წერტილი დაუსვა — 6:7 (4:7), 6:4, 6:2, 7:6 (7:1).

„იგი კარგად მოძრაობდა, მედგარ წინააღმდეგობას მიწევდა და ერთ გოჯსაც არ მითმობდა. მისი დამსახურებაა, რომ საინტერესო სანახაობა გამოვიდა. თავიდან ბოლომდე დიდებული მატჩი გამოდგა" — შვიდი დიდი სლემის ტიტულის მფლობელმა გარჯა დაუფასა 86-ე ჩოგანს.

ვაჟთა შორის ერთბაშად სამი განთესილი გამოეთიშა ასპარეზობას. თუმც, შეიძლება ითქვას, ამ შემთხვევაში ეს თითქმის თანაბარძალიან მეტოქეებს შორის ჭიდილში მოხდა. ოცდამეორედ განთესილმა რუმინელი ანდრეი პაველი სამსეტიან პაექრობაში ყოფილ პირველ ჩოგანთან, ამჟამად განუთესავ ჩილელ მარსელო რიოსთან დამარცხდა 7:5, 6:4, 6:0. მეოცედ განთესილმა მასპინძელმა იან-მაიკლ გემბილმა კი რუს მიხაილ იუჟნისთან ორთაბრძოლა, ჯერ კიდევ მაშინ შეწყვიტა, როდესაც მეორე სეტიც კი არ იყო ხეირიანად დასრულებული 6:4, 4:1. აი, ოცდამეერთედ განთესილი ფრანგი ფაბრის სანტორო კი ოთხსეტიან მატჩში ერთადერთი სეტის მოგების შემდეგ იოლად დანებდა ბელგიელ ქსავიე მალისს 6:0, 3:6, 6:3, 6:2.

იგივე ბედი ეწია ორ განთესილ ქალს. უზბეკმა იროდა ტულიაგანოვამ (22) პირველის მომდევნო ორ სეტში მარცხით მესამე წრისკენ გზა გაუხსნა კანადელ იანა ნეიედლის 1:6, 6:3, 6:4. სამიდან ერთი სეტი მოიგო ბულგარელმა მაგდალენა მალეევამ (15) ავსტრალიელ ალისია მოლიკთან შეხვედრაში.

მათგან განსხვავებით, არც ერთი სეტი არ დაუთმია ტურნირის მოქმედ ჩემპიონ ვინუს უილიამსს. ამერიკელმა იოლად სძლია თანამემამულე მეილენ ტუს, ეს ანგარიშიდანაც ჩანს — 6:2, 6:2. მიუხედავად ამისა, მეოთხედ განთესილმა უფროსმა უილიამსმა არაერთი შეცდომა დაუშვა. ალბათ იმიტომ, რომ ტუს შესაძლებლობებიდან გამომდინარე კარგად უწყოდა, რომ იგი მისთვის არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენდა. ვინუსს პრობლემებს მისივე უამრავი უნებლიე შეცდომა უქმნიდა. შავკანიან დიაცს ასეთი რამ 25-ჯერ მოუვიდა, მის კბილა თანამემამულეს კი 23-ჯერ. გარდა ამისა, საკუთარი მოწოდება სამჯერ დაკარგა. ამ შეხვედრაზე ნაკლებად ითქმის პაექრობა, რადგან უილიამსისთვის ეს უკანასკნელი მომდევნო რთული ბრძოლებისთვის შესახურებელ ხასიათს უფრო ატარებდა. ალბათ ამიტომაც იყო, რომ ასპარეზობის დასრულების შემდეგ მატჩის პერიპეტიებზე მეტად ყოფილ ჩოგბურთელ ტრეისი ოსტინის განცხადებაზე კომენტარს უფრო სთხოვდნენ. ყველას აინტერესებდა, ეთანხმებოდა თუ არა იგი ოსტინს, რომელმაც განაცხადა, ვინუსი ნიუ იორკს ჩემპიონად მაშინ დატოვებს, თუ საკუთარ თავს აჯობებსო.

„თუ ჩემს საუკეთესო თამაშს ვითამაშებ, დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. მე ხომ ტურნირების მოგების კარგი მაჩვენებელი მაქვს. თუმც, მოგეხსენებათ, ყოველთვის ისე ვერ ვირჯები, როგორც საჭიროა. ამჟამად შეცდომების აღმოფხვრაზე ვვარჯიშობ — განაცხადა ვინუს უილიამსმა და მომდევნო კითხვაზე, განიცდის თუ არა დიდი სლემის ტიტულების ნაკლებობას, ასე უპასუხა: „დიახ, მე ძალიან მიყვარს გამარჯვება. ვერ ვიტან, როდესაც შინ დამარცხებული მივდივარ. მძულს ასპარეზობის უდროოდ დასრულება. უმჯობესი იქნება, ეს ტიტულიც შინ წავიღო. მე ჯერ ახლა ავიღე სტარტი. თანაც სულ რაღაც სამი დიდი სლემის ტიტული მაქვს. ვისურვებდი, ამგვარი ჯილდოების ჩამოთვლისას სათვალავი ამერიოს".

**გიგა გურასაშვილი**



REUTERS ნიუ იორკიდან

გრეგ რუზედსკი მესამე წრეში გავიდა

## მეორე წრე

### ვაჟები

**პიტ სამპრასი** (10, აშშ) — ანდრე სა (ბრაზილია) 7:6 (7:4), 6:4, 6:3; **გრეგ რუზედსკი** (30, დიდი ბრიტანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 7:5, 7:5, 6:7 (8:10), 7:6 (8:6); **რამონ დელგადო** (პარაგვაი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:4, 6:7 (5:7), 7:6 (9:7), 2:6, 6:2; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — ნიკოლას მასიუ (ჩილე) 6:7 (4:7), 6:4, 6:2, 7:6 (7:1); **მარიანო საბალეტა** (არგენტინა) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:3, 6:3, 6:4; **მიხაილ იუჟნი** (რუსეთი) — იან-მაიკლ გემბილი (20, აშშ) 6:4, 4:1 ტრავმა; **როჯერ ფედერერი** (13, შვეიცარია) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:2, 7:5, 6:1; **მარატ საფინი** (3, რუსეთი) — ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) 7:6 (7:5), 6:7 (2:7), 7:6 (7:5), 7:6 (7:5); **ჰიშამ არაზი** (28, მაროკო) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:4, 7:6 (7:1), 7:5; **მარსელო რიოსი** (ჩილე) — ანდრეი პაველი (22, რუმინეთი) 7:5, 6:4, 6:0; **ტიმ ჰენმანი** (9, დიდი ბრიტანეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:3, 6:4, 3:6, 6:4; **ქსავიე მალისი** (ბელგია) — ფაბრის სანტორო (21, საფრანგეთი) 6:0, 3:6, 6:3, 6:2; **ტომას იოჰანსონი** (14, შვედეთი) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 4:6, 6:2, 6:3, 6:3; **სხენგ შალკენი** (24, ჰოლანდია) — ენდრიუ ილი (ავსტრალია) 6:2, 3:6, 6:3, 6:0

### ქალები

**ვინუს უილიამსი** (4, აშშ) — მეილენ ტუ (აშშ) 6:2, 6:2; **ვირხინია რუანო პასკუალი** (ესპანეთი) — ეველინ ფაუტი (ავსტრია) 5:7, 6:2, 6:4; **ამელი მორესმო** (8, საფრანგეთი) — იანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 7:6 (8:6), 6:2; **ანკე ჰუბერი** (17, გერმანია) — სარა ტეილორი (აშშ) 7:6 (7:2), 6:4; **ჯენიფერ კაპრიატი** (2, აშშ) — ევი დომინიკოვიჩი (ავსტრალია) 6:2, 6:0; **ნატალი ტოზია** (9, საფრანგეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 7:5, 1:6, 6:3; **ელენა დემენტიევა** (11, რუსეთი) — კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი) 7:6 (7:5), 5:7, 6:0; **ლაიზა რეიმონდი** (30, აშშ) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:2, 6:1; **იანა ნეიედლი** (კანადა) — იროდა ტულიაგანოვა (22, უზბეკეთი) 1:6, 6:3, 6:4; **ჩანდა რუბინი** (აშშ) — ადრიანა გერში (ჩეხეთი) 6:4, 6:1; **სანდ[illegible]ინ ტ[illegible]ტიუ** (18, საფრანგეთი) — გალა ლეონ [illegible]სია (ესპანეთი) 5:7, 6:4, 6:4; **კიმ კლაისტერსი** (5, ბელგია) — ელისონ ბრედშოუ (აშშ) 6:3, 6:2; **ჰენრიეტა ნაგიოვა** (25, სლოვაკეთი) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 6:1; **მაია მატევჟიჩი** (სლოვენია) — ვინე პრაკუსია (ინდონეზია) 6:2, 6:3; **ალისია მოლიკი** (ავსტრალია) — მაგდალენა მალეევა (15, ბულგარეთი) 6:3, 3:6, 6:3; **ბარბარა შეტი** (19, ავსტრ...) — ს[illegible]იმა სფარი (ტუნისი) 6:4, 7:6 (7:5)

# ჭკვიანი უკანალი
## ანუ რატომ გვიყვარს დიაცთა ჩოგბურთი



ამერიკელი გუსი მორანი პირველი იყო, ვინც ქალთა ჩოგბურთში 40-იანების ბოლოს ნამდვილი რევოლუცია მოახდინა და ქომაგები მანამდე უწვდომ სიღრმეებში შეახედა. 84 წლის დედოფალი მერი თურმე იმდენად შოკირებული დარჩა ნანახით, რომ მოგვიანებით დიაცთა წყვილების ფინალზე დასწრებაც კი იუარა, ვითომდა მეტისმეტი სიცხის გამო. გუსის ცისფერსისხლიანთა პრობლემები სულაც არ ადარდებდა და რაკი უიმბლდონისგან განსხვავებით, სხვა ტურნირებზე თეთრებში გამოწყობას არავინ ავალდებულებდა, ერთგან ლეოპარდის ტყავის ტრუსებითაც კი გააბედნიერა მაყურებლები.

მოდით, გულწრფელად ვუპასუხოთ კითხვას — რატომ ვუცქერით ხოლმე გატაცებით ქალთა ჩოგბურთის მატჩებს? თუ, თქვენი აზრით, WTA ტურის ვარსკვლავთა მთავარი ღირსება ძლიერი მეორე მოწოდება ან მარჯვედ მოქნეული ფორჰენდია, აშკარა უმცირესობას მიეკუთვნებით.

ძლიერი სქესის გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა არას დაგიდევთ თანამედროვე ჩოგბურთში სისწრაფისა და დარტყმების ძალის ზრდას; წუხს, რომ დიაცები კუნთებს იბერავენ, თუნდაც წარმატების მისაღწევად; კორტზე მოკალათებული ოპერატორებისგან უფრო მეტ ახლო და ქვედა პლანებს ითხოვს; ფიცხლად და მონდომებით მსჯელობს მოთამაშეთა ამა თუ იმ გარეგნულ ღირსებაზე და აინტერესებს, რამხელა გარშემოწერილობა აქვს, ვთქვათ, მარი პირსის მკერდს, ან რამსიგრძეა ვინუს უილიამსის ფეხი (მერე რა, რომ სახე ჩვენს შორეულ წინაპარს მიუგავს).

ქალ ჩოგბურთელთა მთავარი ფასეულობები თავის დროზე პოპულარულ და ბევრისთვის ასე ნაცნობ „პლეიბოისაც" არ გამოპარვია, თუმცა შტეფი გრაფმაც და გაბრიელა საბატინიმაც 90-იანების დასაწყისში ჟურნალის ფურცლებზე ტანისამოსის შემოძარცვაზე რამდენიმე ასეული ათასი დოლარის დაპირების მიუხედავად მტკიცე უარი განაცხადეს. როგორც ამბობენ, „პლეიბოის" თავკაცებმა ანა კურნიკოვას სულაც სუფთა ქვითარი გაუგზავნეს და თანხმობის ფასად ზედ ნებისმიერი თანხის წარწერა შესთავაზეს, ოღონდ ანკესს არც 20 წლის სექს-სიმბოლო წამოეგო.

წლევანდელი უიმბლდონის მიმდინარეობის დროს პირველ აბზაცში მოყვანილი რიტორიკული კითხვა მსოფლიოს ყვითელი პრესის ლიდერმა „სანმაც" დასვა და პასუხი ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე „ოლ ინგლენდ კლაბში" გადაღებულ რამდენიმე საჭირბოროტო სურათშიც მოიძია.



50-იანებში ახალი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, 1965 წლის 22 ივნისს გადაღებულ ამ სურათზე კი ბრაზილიელი ვარსკვლავი მარია ბუენოა აღბეჭდილი. ქვედა საცვლის დემონსტრირების გარდა სამხრეთამერიკელს თამაშიც მშვენივრად ეხერხებოდა, რაზეც სამი ერთეულებისა და ხუთი წყვილების ტიტულიც მოწმობს.



ლეგენდარულმა კრის ევერტმა „ოლ ინგლენდ კლაბში" პირველად 1974-ში იმარჯვა, თუმცა ინგლისელი მამაკაცები კიდევ უფრო ადრე, 17 წლისამ დაატყვევა ოსტატურად მორგებული მაკიაჟითა და ტანსაცმლისადმი მინიმალისტური მიდგომით.



–და თქვენს წინაშეა ყველა დროის ყველაზე ცხელი ჰიტი, ამერიკელი ლამაზმანი ლინდა სიგელი. 90-60-90 პროპორციების პატრონ იანკის ვიწრო და შემოჭერილ საჩოგბურთო კაბებში ჩატევა ძალიან უჭირდა და ზოგჯერ, როგორც 1979 წლის 28 ივნისს უიმბლდონის მეორე კორტზე, სხეულის ო, როგორ მნიშვნელოვან ნაწილებს ყველასთვის ამზეურებდა. გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ სიგელის მეტოქეს, მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან ბილი ჯინ კინგს ამ დღეს ზედ არავინ უყურებდა?



ამერიკელი ბარბარა პოტერი კოლეგათა შორის „ინტელექტუალად" იწოდებოდა. აბა, სხვას რას დაარქმევ მის ორიგინალურ გადაწყვეტილებას, ქვედა საცვალზე მიეწერა smart-ass, რაც ქართულად სიტყვა-სიტყვით „ჭკვიან უკანალად" ითარგმნება. 1988 წლის 22 ივნისს პოტერმა რუსი ნატალია ბიკოვა დაამარცხა.



ერთი წლით გვიან ჩეხი ევა სვიგლეროვა საერთოდ ისტორიული მოვლენის ავტორი გახდა. ხანგრძლივი დისკუსიებისა და შესწავლის შედეგად „სანის" ჟურნალისტებმა დაასკვნეს, რომ თუ ევას ქვედაბოლოს ქვეშ რაიმე მაინც ეცვა, ეს ლეღვის ფოთოლი ნამდვილად არ იყო და საცვლის შეუიარაღებელი თვალით აღმოჩენა შეუძლებელი გახლდათ.



90-იანებში საერთო დაინტერესებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ავსტრიელი ბარბარა შეტის ჩვევამ, მოწოდების დროს ერთი ბურთი კაბის ქვევით მიემაგრებინა, სამყაროს მისი ფრიადი დუნდულები გააცნო. ნანახით ბევრი მოიხიბლა, ყოველ შემთხვევაში „ბაბსი" წლეულს ინგლისელებმა „ყველაზე სექსუალურ ჩოგბურთელ ქალად" აღიარეს.

დაბოლოს, 1997 წლის 30 ივნისს გადაღებულ ამ სურათზე მარტინა ჰინგისი სულ 16 წლისაა. შვეიცარიელი ჩემპიონიც გახდა და თან ყველას დაუმტკიცა, რომ ჩოგნის ცემასა თუ სხვა ხელებში არავის ჩამოუვარდებოდა.



სარბიელი

# სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). VI ტური

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 002 | ქემნიცი-მ'უნსტერი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 17.00 | 003 | ლი'უბეკი-ბრა'უნშვაიგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 17.00 | 004 | ფერლი-ლევერკ'უხენი (მ.) | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.00 | 005 | დრეხდენი-ვერდერი (მ.) | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 17.00 | 006 | 'ურდინგენი-კილი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 007 | 'ურდინგენი-კილი 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 008 | მაგდებ'ურგი-ვატენშაიდი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 009 | ესენი-დი'უსელდორფი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). VI ტური

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 011 | რეგენსბ'ურგი-ელვერსბერგი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 18.00 | 012 | კიკერსი-მანჰაიმი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 18.00 | 013 | დარმშტადი-ვეჰენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 18.00 | 014 | ჰოფენჰაიმი-აალენი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 015 | კაისერსლ.(მ.)-ბურგჰა'უხენი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 016 | ზიგენი-ფ'ულდა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 017 | ოფენბახი-ტრირი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

### ინგლისი. I დივიზიონი. V ტური

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 019 | გრიმსბი-ბარნსლი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 020 | ბრედფორდი-ბარნლი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. V ტური

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 024 | კემბრიჯი-ბორნმ'უთი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 18.00 | 025 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 026 | პორტ ვეილი-რედინგი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 027 | ს'უინდონი-კოლჩესტერი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.00 | 028 | ტრანმერი-ოლდემი | 1,9 | 3,1 | 3,6 |

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 029 | ჰადერსფილდი-'უიკომბი | 1,65 | 3,2 | 5,0 |

### ინგლისი. III დივიზიონი. V ტური

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 031 | კარლაილი-როჩდეილი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 17.00 | 032 | სა'უთენდი-ლეიტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 033 | როვერსი-შრი'უსბერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 19.00 | 034 | ჩელტენემი-ტორკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 035 | ექსეტერი-ლ'უტონი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 19.00 | 036 | კიდერმინსტერი-მენსფილდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 037 | ლინკოლნი-დარლინგტონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 038 | მაკლსფილდი-სკანთორპი | 2.3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 039 | ოქსფორდი-რაშდენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 040 | იორკი-ჰალიფაქსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

### იტალია. სერია B. II ტური

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 051 | ბარი-ემპოლი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 18.00 | 052 | ჩიტადელა-სალერნიტანა | 2,5 | 2,7 | 2.8 |
| 18.00 | 053 | კროტონე-მოდენა | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 054 | მესინა-ტერნანა | 2,5 | 2,6 | 2,9 |
| 18.00 | 055 | ნაპოლი-ანკონა | 1.5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 056 | პისტოიეზე-ჯენოა | 2,5 | 2,5 | 3,0 |
| 18.00 | 057 | რეჯინა-კომო | 1,6 | 3,1 | 6.0 |
| 18.00 | 058 | სამპდორია-კოზენცა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 18.00 | 059 | სიენა-ვიჩენცა | 2,5 | 2,7 | 2,8 |

3 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 060 | პალერმო-კალიარი | 2,4 | 2.7 | 3,0 |

### იტალია. სერია C1/a. I ტური

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 061 | ალბინოლეფე-კარარეზე | 1,9 | 2,7 | 4,4 |
| 19.00 | 062 | ალძანო-არეცო | 2.5 | 2,6 | 2,9 |
| 19.00 | 063 | ჩეზენა-ლივორნო | 2,2 | 2,6 | 3,5 |
| 19.00 | 064 | ლ'უმეცანე-ლეკო | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 065 | პიზა-ტრევიზო | 2,5 | 2,7 | 2.8 |
| 19.00 | 066 | რეჯანა-ტრიესტინა | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 19.00 | 067 | სპალ-პადოვა | 1,75 | 2,8 | 5,0 |
| 19.00 | 068 | სპეცია-მონცა | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 19.00 | 069 | ვარეზე-ლ'უკეზე | 2,3 | 2,6 | 3,3 |

### იტალია. სერია C1/b. I ტური

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 070 | ასკოლი-დი სანგრო | 1,8 | 2,8 | 4,7 |
| 18.00 | 071 | აველინო-აკილა | 1,65 | 2,9 | 6,0 |
| 18.15 | 072 | კატანია-ბენევენტო | 1,5 | 3,2 | 7,5 |
| 19.00 | 073 | ჯ'ულიანოვა-კიეტი | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 19.00 | 074 | ლოდიჯანი-ლანჩანო | 1,8 | 2,7 | 5,0 |
| 19.00 | 075 | პესკარა-ფერმანა | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 19.00 | 076 | სორა-ნოჩერინა | 2,4 | 2,6 | 3,1 |
| 19.00 | 077 | ტარანტო-პესარო | 2,1 | 2,8 | 3.5 |
| 19.00 | 078 | ვიტერბეზე-ტორესი | 2,3 | 2,6 | 3,3 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. II ტური

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 083 | ფეროლი-მ'ურსია | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 21.30 | 079 | ეიბარი-ატლეტიკო | 2,9 | 3,0 | 2,3 |

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 080 | ესტრემად'ურა-სერესი | 1.6 | 3,1 | 6,0 |
| 23.00 | 081 | ბურგოსი-ხიმნასტიკი | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 22.00 | 082 | ხაენი-ეხიდო | 1,6 | 3,2 | 5.6 |
| 15.00 | 084 | ლეგანესი-ელჩე | 1,9 | 2,8 | 4,2 |
| 23.00 | 085 | ლევანტე-კორდობა | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 22.00 | 086 | სალამანკა-ალბასეტე | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 24.00 | 087 | 'უელვა-ნუმანსია | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 21.00 | 088 | სპორტინგი-ბადახოსი | 1,7 | 2,8 | 5,6 |
| 23.00 | 089 | რასინგი-ოვიედო | 1,8 | 3,0 | 4,2 |

### პორტუგალია. I ლიგა. გადადებული მატჩი

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 090 | სანტა კლარა-ალვერკა | 2.1 | 2,9 | 3,4 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. III ტური

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 098 | ვოლენდამი-ზვოლე | 2.3 | 3,2 | 2,7 |
| 17.30 | 099 | ჰაარლემი-დენ ჰააგი | 2,3 | 3,2 | 2.7 |

### ბელგია. II დივიზიონი. III ტური

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 109 | გეელი-ინგელმ'უნსტერი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 22.30 | 110 | მონსი-სერკლი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 23.00 | 111 | მეხელენი-პატრო | 1,3 | 4,4 | 8,.0 |
| 23.00 | 112 | ვირტონი-ლიეჟი | 2.4 | 3,0 | 2,7 |
| 23.00 | 113 | ჰე'უსდენი-დაინცე | 1.85 | 3.1 | 3.8 |

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 114 | ვიზეტი-რ'უსელარე | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 115 | სტრომბეკი-რონსე | 1,75 | 3,1 | 4.2 |
| 18.00 | 116 | ტინენი-დესელი | 2.2 | 3,0 | 3,1 |
| 18.00 | 117 | ფლაანდერენი-დენდერლე'უ | 1.8 | 3,1 | 4,0 |

### შოტლანდია. მე-2 დივიზიონი

2 აგვისტო

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 157 | ბერიკი-მორტონი | 2.6 | 3.3 | 2.3 |
| 19.00 | 158 | ფორფარი-ალოა | 2.8 | 3.3 | 2.2 |
| 19.00 | 159 | ქ'უინი-სტენჰა'უსმ'ური | 1.9 | 3.3 | 3,4 |

### შვეიცარია. B ჯგუფი. XI ტური

2 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 119 | ვილი-კარ'უჟი | 1,75 | 3.1 | 4,2 |
| 19.15 | 120 | კონკორდია-კრინსი | 2.2 | 3,0 | 3,1 |
| 19.15 | 121 | დელემონი-ვინტერთ'ური | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.15 | 122 | ლოკარნო-თ'უნი | 2,7 | 3.2 | 2,3 |
| 19.15 | 123 | ივერდონი-ბელინცონა | 1.85 | 3,2 | 3,6 |

### საფრანგეთი. ლიგის თასი. წინასწარი ეტაპი

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 125 | სტრასბ'ური-ნიორი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 126 | აიაჩო-ნიმი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 21.00 | 127 | ამიენი-ან'ჟე | 1,65 | 3,2 | 5.0 |
| 21.00 | 128 | კრეტეი-ვალანსი | 1.65 | 3,2 | 5,0 |
| 21.00 | 129 | ლავალი-ბოვე | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 21.00 | 130 | ლე ავრი-ვასკეალი | 1,6 | 3,1 | 6.0 |
| 21.00 | 131 | ლე მანი-ნიცა | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 132 | მარტიგი-ტ'ულ'უზი | 2.3 | 3,0 | 2,9 |
| 21.00 | 133 | სტ. ეტიენი-გენიონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| 21.00 | 134 | კანი-გრენობლი | 2.3 | 2,9 | 3,0 |
| 21.00 | 135 | ლ'უანი-ისტრი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### შესარჩევი მატჩები

1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 506 | ირლანდია-ჰოლანდია | 2.6 | 2,9 | 2,5 |
| 19.00 | 507 | ისლანდია-ჩეხეთი | 4,0- | 3,1 | 1,8 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 508 | მოლდოვა-აზერბაიჯანი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 509 | უელსი-სომხეთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 510 | შოტლანდია-ხორვატია | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 19.00 | 511 | აშშ-ჰონდურასი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| 20.45 | 512 | პოლონეთი-ნორვეგია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 21.00 | 513 | ფარერები-ლუქსემბურგი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 514 | ბელარუსი-უკრაინა | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 515 | საქართველო-უნგრეთი | ანგარიში – 5,0 | | |
| 22.00 | 516 | ალბანეთი-ფინეთი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 22.15 | 517 | დანია-ჩრდ. ირლანდია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 518 | დანია-ჩრდ.ირლანდია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 22.30 | 519 | გერმანია-ინგლისი | 2.0 | 3,1 | 3.4 |
| 22.45 | 520 | სლოვაკეთი-თურქეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 521 | მალტა-ბულგარეთი | 9,0 | 5,0 | 1,2 |
| 23.00 | 522 | მაკედონია-შვედეთი | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| 23.15 | 523 | შვეიცარია-იუგოსლავია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 524 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.15 | 525 | ბოსნია-ისრაელი | 2,6 | 3,1 | 2.4 |
| 23.45 | 526 | ლიტვა-იტალია | 9,0 | 5,0 | 1,25 |
| 01.00 | 527 | ანდორა-პორტუგალია | 16,0 | 8,0 | 1.03 |
| 01.00 | 528 | ესპანეთი-ავსტრია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 529 | ესპანეთი-ავსტრია 0:1 | 1,75 | 3,0 | 3,2 |
| 01.00 | 530 | ტრინიდადი-კოსტა რიკა | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| | | 2 სექტემბერი | | | |
| 02.00 | 531 | იამაიკა-მექსიკა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

ევროპის ახალგაზრდული (21 წლამდე) ჩემპიონატი.
1 სექტემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 567 | სლოვენია-რუსეთი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 568 | მაკედონია-შვედეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 |
| 21.00 | 569 | ბოსნია-ისრაელი | 2,5 | 3,2 | 2,4 |

კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი (თურქეთი).
ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ჩოგბურთის ფსონებს გაეცნობით ადგილზე
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

**1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათია. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, კვირა**


სარბიელი
სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS
კროკო


ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ფიროსმანის ქუჩა № 7ა | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |

# შპს „კროკოს" ადმინისტრაცია
# გაფრთხილებთ!

ფოთში, მისამართზე რკალი 5, მუშაობს თვითმარქვია ტოტალიზატორი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო შპს „კროკოსთან". შესაბამისად, შპს „კროკო" აღნიშნული თვითმარქვია ტოტალიზატორის მუშაობაზე არანაირ პასუხისმგებლობას არ კისრულობს და შესაძლო პრეტენზიებს არ განიხილავს.

**ფოთში დღესდღეობით „კროკოს" ბიურო არ არსებობს.**

არალეგალური საქმიანობა ისჯება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. შპს „კროკოს" ადმინისტრაცია კომპეტენტურ ორგანოებს შესაბამისი რეაგირებისთვის მიმართავს.



გუშინდელი ავარიის შემდეგ დევიდ კულჰარდის „მაკლარენი“ ძნელად საცნობი იყო

# F1

მეთოთხმეტე ეტაპი ბელგიის დიდი პრიზი

## სპა-ფრანკორშამი

სპა, 2 სექტემბერი




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . . . . 6.968 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . . . 44 წრე — 306.592 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 ჰაკინენი (მაკლარენი); 2 მ. შუმახერი (ფერარი); 3 რ. შუმახერი (უილიამსი); 4 კულჰარდი (მაკლარენი); 5 ბატონი (უილიამსი); 6. ფრენცენი (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 1997 — ვილნევი (უილიამსი) 1:52.692

**ყველა გამარჯვებული**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1950 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ალფა რომეო |
| 1951 | ჯუზეპე ფარინა | იტალია | ალფა რომეო |
| 1952 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1953 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1954 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მაზერატი |
| 1955 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მერსედესი |
| 1956 | პიტერ კოლინსი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1958 | ტონი ბრუქსი | დიდი ბრიტანეთი | ვენუოლი |
| 1960 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | კუპერი |
| 1961 | ფილ ჰილი | აშშ | ფერარი |
| 1962 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1963 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1964 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1965 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1966 | ჯონ სარტისი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1967 | დენ გარნი | აშშ | იგლი |
| 1968 | ბრიუს მაკლარენი | ახალი ზელანდია | მაკლარენი |
| 1970 | პედრო როდრიგესი | მექსიკა | BRM |
| 1972 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1973 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1974 | ემერსონ ფიტიპალდი | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1975 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1976 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1977 | გუნარ ნილსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1978 | მარიო ანდრეტი | აშშ | ლოტუსი |
| 1979 | ჯოდი შექტერი | სამხრეთ აფრიკა | ფერარი |
| 1980 | დიდიე პირონი | საფრანგეთი | ლიჟიე |
| 1981 | კარლოს რუტმანი | არგენტინა | უილიამსი |
| 1982 | ჯონ უოტსონი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1983 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | რენო |
| 1984 | მიქელე ალბორეტო | იტალია | ფერარი |
| 1985 | აირტონ სენა | ბრაზილია | ლოტუსი |
| 1986 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1987 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1988 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1989 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1990 | აირტონ სენა- | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1991 | აირტონ სენა | ბრაზილია | მაკლარენი |
| 1992 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1993 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1994 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1996 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1997 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1998 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | ჯორდანი |
| 1999 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 2000 | მიკა ჰაკინენი | ფინეთი | მაკლარენი |

# ხვალ შუმახერი ვერ მოიგებს?

**ბელგიური** ეტაპი ერთ-ერთია იმ ხუთთაგან, რომლებიც პირველივე ჩემპიონატიდანაა ფორმულა 1-ის კალენდარში და დღემდე მოაღწია. რბოლას სამი ავტოდრომი (სპა, ზოლდერი, ნეველი) მასპინძლობდა.

სპა-ფრანკორშამში ხვალ 36-ედ გათამაშდება ბელგიის დიდი პრიზი. პირველი რბოლაც იქ, ლიეჟიდან ორმოცდაათიოდე კილომეტრის მოშორებით, სამი პატარა სოფლის დამაკავშირებელ გზაზე გაიმართა. მაშინდელი ტრასა უსაშველოდ გაწელილი, 15-კილომეტრიანი იყო, რბოლის დისტანციაც დღევანდელზე გაცილებით გრძელი — 430 კილომეტრი. ამ სიგრძე წრეზე ასპარეზობის ჩატარება არაერთ ორგანიზაციულ თუ ტექნიკურ სირთულესთან იყო დაკავშირებული, ამიტომ 70-იან წლებში ძირეული რეკონსტრუქციის შედეგად, როცა ტრასის შუა წელში ახალი შემაერთებელი მონაკვეთი გაიყვანეს, წრე ორჯერ დამოკლდა და გაცილებით ადვილი მოსავლელი და უსაფრთხო გახდა.

თითქმის ყველა პილოტს „სპა“ გამორჩეულად მოსწონს. ამ ჩქაროსნულ, რთულ ტრეკზე გამარჯვება მეტად პრესტიჟულად ითვლება. საკმაოდ გრძელი სწორი უბნების მერე არც თუ მცირერიცხოვანი მოსახვევების წინ მკვეთრი დამუხრუჭებისას ძრავებს დიდი ჯაფა ადგათ. რბოლის მსვლელობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ მთაგორიანი მხარის ჭირვეული ამინდიც. შარშან, მაგალითად, ასფალტი ისე იყო სველი, რომ მოსალოდნელი მასიური ავარიის თავიდან ასაცილებლად მრბოლებმა სტარტი დაძრული მანქანებით, პეისკარის უკან აიღეს. სინოპტიკოსები ხვალაც 15-გრადუსიან სიგრილეს და წვიმას ვარაუდობენ.

წლევანდელ ჩემპიონატში მონაწილეთაგან ბელგიაში მხოლოდ მიხაელ შუმახერს, მიკა ჰაკინენსა და დევიდ კულჰარდს გაუმარჯვია. განსაკუთრებით შთამბეჭდავია შუმის შედეგიანობა — ოთხი მოგება და ორჯერ მეორე ადგილი, რაც ჯამში 52 ქულაა. მიკას აქტივში ხუთი პოდიუმი (1+2+2) და 31 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან კულჰარდი (16), ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი (14), რალფ შუმახერი (12), ჟაკ ვილნევი (7), ჟან ალეზი (7)...

„ფერარის“ პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო გუშინ 54 წლის გახდა. გუნდიც წარმატების შემთხვევაში გამარჯვებას ალბათ მას მიუძღვნის. ისე, სტატისტიკის მიხედვით, ბოლო ცხრა გათამაშებიდან რვაჯერ ბელგიური ეტაპის მომგები იმ წელს ჩემპიონი ვერ გახდა. გამოდის, ხვალ მიხაელ შუმახერი არ უნდა აწუწაონ შამპანურით.

მას შემდეგ, რაც ორი კვირის წინ უნგრეთში შუმიმ ვადამდე გაინაღდა ჩემპიონის ტიტული, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მეორე ადგილისთვის ბრძოლა მოექცა. ვიცე-ჩემპიონობაზე პრეტენზიას სამი პილოტი აცხადებს. მართალია, კულჰარდი კვლავინდებურად ინარჩუნებს ცხრილში მეორე პოზიციას, მაგრამ უახლოეს მდევრებთან რუბენს ბარიკელოსთან და რალფ შუმახერთან შესაბამისად ხუთი და შვიდქულიანი სხვაობა ბევრს არაფერს ნიშნავს. შოტლანდიელმა ბოლო ხუთ რბოლაში მხოლოდ 11 ქულის დაგროვება შეძლო, მისმა კონკურენტებმა კი ზუსტად ორჯერ მეტის. კულჰარდის მორიგი წაფორხილების შემთხვევაში მას შეიძლება ერთდროულად ორივემ გაასწროს.

გუშინ პირველ თავისუფალ ვარჯიშზე საუკეთესო დრო მიხაელ შუმახერმა აჩვენა. მისი შედეგი — 1:48,655 სულ უმნიშვნელოდ, სამი მეასედი წამით სჯობს ტრასის რეკორდს, რომელიც სამი წლის წინ ჰაკინენმა დაამყარა.

შესვენების შემდეგ, მეორე ცდაზე, თერთმეტმა პილოტმა გააუმჯობესა თავისი მაჩვენებელი, თუმცა მიხაელის დროს ახლოსაც ვერავინ გაეკარა. იარნო ტრული მას თითქმის წამით ჩამორჩა, შემდეგ კი ბარიკელო, ჯანკარლო ფიზიკელა, ჰაკინენი, კიმი რაიკონენი, რალფ შუმახერი იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ბევრ მრბოლს ტრადიციულმა წვიმამ აურია დავთრები.

უმძიმესი ავარია შეემთხვა კულჰარდს. თითქმის 200-კილომეტრიან სიჩქარეზე მას საჭე გაექცა, „მაკლარენი“ ტრასიდან გავარდა და დამცავ ბარიერს მიეხეთქა. მანქანისგან ბევრი არაფერი დარჩა, მძღოლი კი, საბედნიეროდ, იოლად გადაურჩა ხიფათს და დაუხმარებლად გამოძვრა ნამსხვრევებიდან.

**გია ახალაძე**

# პროსტზე ნადირობა გრძელდება



ალენ პროსტი

**წლევანდელი** სეზონის წინ ფორმულა 1-ის ხუთი უმთავრესი რეკორდიდან (ჩემპიონის ტიტული, მოგება, ქულა, პოული, უსწრაფესი წრე) სამი მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონ ალენ პროსტს ეკუთვნოდა. სადღეისოდ კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოკლე ხანში შესაძლოა, სამივე მიხაელ შუმახერის საკუთრება გახდეს.

მიხაელმა ერთი მიღწევა „პროფესორს“ ჩემპიონატის დასაწყისშივე წაართვა, უსწრაფესი წრეების რაოდენობა გვაქვს მხედველობაში. გერმანელი პილოტი ორი კვირის წინ „ჰუნგარორინზე“ გამარჯვებით „მეტოქეს“ მოგებების რაოდენობით გაუთანაბრდა — ორივეს თავიანთ უმდიდრეს კოლექციაში 51-51 დიდი პრიზი აქვს. ასე რომ, ხვალ თავის ერთ-ერთ უსაყვარლეს სპა-ფრანკარშამის ტრასაზე მორიგი ტრიუმფის შემთხვევაში, შუმი ამ მაჩვენებლითაც ჩამოიტოვებს „პატარა ნაპოლეონს“.

ახალი საუკუნის პირველი ჩემპიონატის ბოლომდე დარჩენილ ოთხ რბოლაში 40 ქულა გათამაშდება. საკმარისია, მიხაელმა 27 ქულა დააგროვოს, რომ პროსტის მესამე რეკორდიც დაამხოს კარიერაში დაგროვილ ქულათა რაოდენობის მხრივ.

თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ერთ-ორ რბოლაში ჯირითს შუმახერმა შინ, შვეიცარიაში, ცოლ-შვილთან ნებივრობა ამჯობინოს და „ფერარის“ კოკპიტში თავისი ადგილი „სკუდერიის“ სათადარიგო მრბოლ ლუკა ბადოერს დაუთმოს. მაშინ პროსტზე ნადირობა გაისად გაგრძელდება.

რაც შეეხება დანარჩენ ორ ზერეკორდს, ტიტულებით წინაა ხუთგზის ჩემპიონი არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიო, ხოლო მოგებულ კვალიფიკაციათა ფანტასტიკური რაოდენობით (65) კვლავ მიუწვდომელი ჩანს ბრაზილიელი „ჯადოქარი“ აირტონ სენა.

ოთხგზის სუპერჩემპიონთა სტატისტიკურ მონაცემებს ცხრილის სახით წარმოგიდგენთ.

| ალენ პროსტი | | მიხაელ შუმახერი |
|---|---|---|
| 38 | ასაკი | 32 |
| 4 | ტიტული | 4 |
| 13 | სეზონი ფორმულაში | 11 |
| 199 | რბოლა | 158 |
| 51 | მოგება | 51 |
| 798,5 | ქულა | 772 |
| 33 | პოული | 41 |
| 41 | უსწრაფესი წრე | 43 |



მიხაელ შუმახერი

## ევროპის ჩემპიონატი



# მკვლელობა ბოლო წამზე

### A ჯგუფი

**საფრანგეთი 77:71 ისრაელი**

(ძირითადი დრო 62:62)

**საფრანგეთი: სკიარა (13), დიგბო (8), რიზაშე (8), ჟულიანი (6), პალმერი (15), მიკუ. ვეისი (2), პარკერი (2), ფუარე (18), დიუმასი, ბილბა (5)**

**ისრაელი: გორდონი (8), შარფი (8), თურჯემანი (19), საფარი (13), მიზრახი, გრინი, ტაპირო (21), პელეგი (2)**

„ვიცოდით, რომ ისრაელის ნაკრები მებრძოლი გუნდია, ყოველთვის კერკეტი კაკალი იყო მეტოქეებისთვის. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ გაგვიმართლა. მართალია, დაცვის ხაზზე ერთი აუგი არ დამცდება, მაგრამ, სამაგიეროდ, შეტევაში ბლომად მომენტები გავანიავეთ" — განაცხადა ისრაელის დამარცხების შემდეგ საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალენ ვეისმა.

ორივე გუნდმა განსაკუთრებული ყურადღება დაცვას დაუთმო, სწორედ ამიტომ ჭირდა ზონის გარღვევა. ებრაელთა უკანა ხაზი ისე მოქმედებდა, რომ ფრანგების მიერ ნატყორცნი თხუთმეტი სამქულიანიდან ოდენ ერთმა უწია მიზანს. მიუხედავად ამისა, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორებმა პირველი ნახევარი მაინც თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს — 34:28.

აი, მესამე მეოთხედში კი აიშვა იერუსალიმის „ჰაპოელის" უკანახაზელმა მეირ ტაპირომ. ანკარის საკალათბურთო დარბაზში შეკრებილ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს ებრაელთა ერთ-ერთმა ლიდერმა შოუ მოუწყო. ტაპირომ ბლომად არიგა პასები და ხშირად თვითონვე ეფექტურად აგვირგვინებდა შეტევებს. თავიანთ ლიდერს მხარი მაკაბელმა დერიკ შარფმა და იოავ საფარმაც აუბეს და საფინალო სირენამდე 21,9 წამით ადრე ისრაელი 62:60 უგებდა ოლიმპიადის ფინალისტებს. გადამწყვეტი სროლა ფრანგებმა 208-სანტიმეტრიან ცენტრ კროუფორდ პალმერს მიანდეს, მისი ნასროლი ფარმა აისხლიტა. სამაგიეროდ, ებრაელებისგან ფარქვეშ მივიწყებული სტეფან რიზაშე ახტა ყველაზე მაღლა და ბურთი ხელის ერთი მოძრაობით ააფართხალა ისრაელის კალათის ბადეში.

დამატებით დროში მეირ ტაპიროს და მის ამქარს არსენალი გამოელია ფრანგთა დასაცხრილად. სამაგიეროდ, ლორან სკიარას არ გაფუჭებია მიზანი და ჩემპიონატის ერთ-ერთმა ფავორიტებმა ექვსი ქულის სხვაობით დაამარცხეს ებრაელები.

**ლიტვა 82:60 უკრაინა**

**ლიტვა: ეინიკისი (14), ტიმინსკასი (11), იურკუნასი (9), იასიკევიჩუსი (8), კაუკენასი (10), სლანინა, მ. ჟუკაუსკასი (8), ე. ჟუკაუსკასი (2), სონგაილა (4), შიშკაუსკასი (16), იავტოკასი**

**უკრაინა: პუდზირეი (6), ოკუნსკი (13), რაევსკი, ევსტრატენკო (5), ბალაშოვი (5), კორაბლიოვი (5), ლებედევი (13), კობზისტი, ხრიაპა (13), რიგოვი, ლიშჩუკი**

წუთიც არ იყო გასული, რომ ბალტიისპირელები უკვე 6:0 იგებდნენ. მოპოვებული უპირატესობა ლიტველებმა კიდევ უფრო გაზარდეს და ხუთი წუთის შემდეგ ანგარიში 13:6 გახდა. ამის შემდეგ უკრაინელები გამოფხიზლდნენ და მოედანზე ისეთი ამბები დაატრიალეს, რითაც კალათბურთი ფასობს. ახალგაზრდა უკრაინელები არ შეუშინდნენ მთელ კონტინენტზე მიმოფანტულ ლიტველ ვარსკვლავებს და ნიკოლაი ხრიაპასა და ანდრეი ლებედევის ძალისხმევით მოახერხეს იონას კაზლაუსკასის გუნდის უკან მოტოვება — 17:16. ამან ლიტველებზე ცივი შხაპივით იმოქმედა და მათ პირველი მეოთხედის დარჩენილ წუთებში ლიდერობა დაიბრუნეს — 21:18.

აღმოჩნდა, რომ უკრაინელებმა პირველ მეოთხედშივე ამოწურეს თავიანთი რეზერვები. მეორე ათწუთეულში მათ ლიტველებს დაცვითი თამაში შესთავაზეს, რაც თავიდან ერთობ კარგად გამოსდიოდათ, მაგრამ შიშკაუსკასმა და ეინიკისმა უმალ მოარგეს გასაღები სლავების დაცვას და წინაც გაიჭრნენ. დაბნეულმა უკრაინელებმა შეცდომების დაშვება იწყეს. ისინი წარმოუდგენლად ბევრ ბურთს კარგავდნენ, თუმც ამ მხრივ მათ არც ლიტველები ჩამორჩნენ და მეორე მეოთხედი რომელიღაც მაჩანჩალა ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩს უფრო წააგავდა, ვიდრე ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ორთაბრძოლას.

დაიწყო თუ არა მეორე ნახევარი, ლიტველთა სახით მოედანზე სრულიად სხვა გუნდი გამოვიდა. საულიუს შტომბერგასის არყოფნაში, რომელსაც მცირე ტრავმა ჰქონდა და კაზლაუსკასმა მისი დასვენება ამჯობინა, მინდაუგას ჟუკაუსკასმა გაილაღა, მას მხარი სეხნია ტიმინსკასმაც აუბა და ლიტველებს საქმე უკვე საფინალო მეოთხედის დაწყებამდე მოთავებული ჰქონდათ — 53:39.

უკრაინელთა თავკაცმა გენადი ზაშჩუკმა კი თავი იმით დაიმშვიდა, რომ ტურნირის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდთან დამარცხდა: „ძალიან ძლიერ და გამოცდილ გუნდს შევხვდით. ჩვენმა ბიჭებმა უზომოდ ბევრი ბურთი დაკარგეს, თუმც ასეც რომ არ მომხდარიყო, ლიტველები მაინც გაიმარჯვებდნენ."

### B ჯგუფი

**თურქეთი 85:82 ლატვია**

**თურქეთი: თუნჩერი (6), ქუთლუაი (20), თურქოღლუ (11), თურქჯანი (17), ბეშოქი (18), ოქური (6), ენე (4), ფარსი (2), ერდენაი (1), ილდირიმი**

**ლატვია: მიგლინიეკსი (17), ვიტოლსი, ბაგატსკისი (21), შელმანისი, გრაფსი (4), კამბალა (20), შტელმახერსი (13), ვალტერსი (7), ლაკსა, ვალეიკო**

თურქებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს ამ მატჩს. იმდენად, რომ მათმა მთავარმა მწვრთნელმა აიდინ ორსმა მას „სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანი" უწოდა. ჩანს, ჩემპიონატის მასპინძლები ფსიქოლოგიურად დაძაბულნი იყვნენ და საწყის წუთებში ბევრ შეცდომას უშვებდნენ. ლატვია აინარს ბაგატსკისის ქულებით დაწინაურდა (11:6), თუმცა პირველი მეოთხედი მაინც თურქებმა მოიგეს 17:14 ცენტრ ჰუსეინ ბეშოქის წყალობით.

მეორე მეოთხედში ლატვიელები კვლავ დაეუფლნენ ინიციატივას. სტამბოლის „ეფესის" ახალწვეულმა კასპარს კამბალამ ზედიზედ ორი ბურთი ჩააგდო, რაიმონდს მიგლინიეკსმა და ბაგატსკისმა სამქულიანები მიითვალეს. ტაიმი ბალტიისპირელებმა 42:37 მოიგეს. თურქთა ლიდერები პასიურობდნენ — შესვენებამდე ჰიდაიეთ თურქოღლუს და იბრაჰიმ ქუთლუაის ჯამში ხუთი ქულა ჰქონდათ გაკეთებული.

ლატვიამ კარგად დაიწყო მეორე ტაიმი და კამბალას მონდომებით 26-ე წუთზე 55:48 დაწინაურდა. მასპინძლებმა საფრთხე იყნოსეს და საქმეს მოჰკიდეს ხელი. ქუთლუაის, თურქოღლუს და მირსად თურქჯანს თამაში წაუვიდათ და მათი გუნდი მესამე მეოთხედის შემდეგ 67:64 იგებდა.

დასკვნითი მეოთხედი დიდი ბრძოლით აღნიშნა. ხისტი დაცვის გამო ბურთის ჩაგდება ორივე გუნდს უჭირდა. დამთავრებამდე ორი წუთით ადრე, 77:77-ზე, ქუთლუაიმ სამქულიანი ჩააგდო, რასაც ორჰუნ ენემ გარღვევა მიაყოლა. ბაგატსკისმა ერთი სამქულიანით უპასუხა და ლატვია ორი ქულით ჩამორჩა — 82:80. თამაშის გადარჩენა სტამბოლის „ულქერში" ახალგადასულ უკანახაზელ რობერტს შტელმახერსს შეეძლო, მაგრამ ააცილა და თურქებმა პირველი გამარჯვება იზეიმეს.

**ესპანეთი 85:61 სლოვენია**

**ესპანეთი: ა. რეიესი (7), პარაისო (17), ანგულო (7), როდრიგესი (2), ხიმენესი (7), გარბახოსა (1), ვასკესი, ლოპესი (14), ნავარო (14), გასოლი (12), კორნგაი (4)**

**სლოვენია: კრალევიჩი (2), გორენცი (4), ნესტეროვიჩი (8), ტუშეკი (3), იაგოდნიკი, იურკოვიჩი (3), მილიჩი (10), მაკდონალდი (2), ლაკოვიჩი (4), სმოდიში (4), ბეჩიროვიჩი (9), უდრიჰი (12)**

### C ჯგუფი

**იუგოსლავია 80:66 ხორვატია**

**იუგოსლავია: სტოიაკოვიჩი (21), იარიჩი (9), დრობნიაკი (2), ტომაშევიჩი (13), გუროვიჩი (9), ტარლაჩი (3), ობრადოვიჩი (6), ბოდიროგა (9), შჩეპანოვიჩი (8)**

**ხორვატია: მულაომეროვიჩი (12), ვ. მრშიჩი, გირიჩეკი (17), კოვაჩიჩი (19), ტაბაკი (4), პრკაჩინი (6), ვუიჩიჩი (2), სკელინი (4), სესარი (2)**

სადაც იუგოსლავია და ხორვატია ერთმანეთს გადაეყრებიან, იქ, ცხადია, ომიც უნდა იყო. მაგრამ ანთალიაში არათუ ომი, ლოკალური მნიშვნელობის ბრძოლაც კი არ შედგა — იუგოსლავია ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე.

იუგოსლაველთა მწვრთნელმა სვეტისლავ პეშიჩმა სასტარტო ხუთეულში არ დააყენა გუნდის ლიდერი და ევროპის საუკეთესო კალათბურთელი დეიან ბოდიროგა, რომელსაც ჯერ კიდევ ბელგრადში ვარჯიშისას ცხვირი გაუტყდა. მიუხედავად ამისა, იუგოსლავიამ ძალზე დახვეწილად და პრაქტიკულად უშეცდომოდ ითამაშა. ხორვატთა მწვრთნელმა ალექსანდრ პეტროვიჩმა ბევრ ტაქტიკურ ვარიანტს მიმართა, მაგრამ ყველგან მტკიცე იუგოსლავიურ კედელს შეასკდა.

**გერმანია 92:71 ესტონეთი**

**გერმანია: დემირელი (1), ოკულაია (8), გარისი (5), არიგბაბუ (2), ფემერლინგი (11), ნოვიცკი (33), ბრედლი (2), გარეტი (10), პეშიჩი (18), უილუგბი (2), პაპიჩი, ტომიჩი**

**ესტონეთი: ტეინი (8), მეტსტაკი (4), პარნი (11), მიუურსეპი (17), პეჰკა (7), კრიისა (5), ნოორმეტსი (5), კიკერპილი (2), ვარბლანე (10), რუმა (2)**

გერმანელთა 211-სანტიმეტრიანმა ფორვარდმა დირკ ნოვიცკიმ მარტომ მოუგო ესტონელებს. „დალას მავერიქსის" ვეება თავდამსხმელმა უკვე პირველივე ნახევარში 26 ქულას მოუყარა თავი. პირველ მეოთხედში გერმანელთა მიერ მოპოვებული 19 ქულიდან 15 ნბა-ს თეთრკანიანი ვარსკვლავის მონაგარია.

ესტონეთი თავიდან კი ახერხებდა, ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწია მეტოქისთვის, მაგრამ თამაშის იშტაზე მოსული ნოვიცკის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა და ფარ-ხმალიც მალევე დაყარა. თუ ნოვიცკიმ დიდებულად ითამაშა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით გერმანელთა კიდევ ერთ „ამერიკელზე", „დალას მავერიქსის" 228-სანტიმეტრიან შონ ბრედლიზე. გერმანიაში დაბადებული ამერიკელი ორჭოფობდა, ეთამაშა თუ არა მეორე სამშობლოს სახელით და როდესაც დასტური თქვა, გერმანული პასპორტი ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ ჩააჩუტეს. ამიტომ ნბა-ში გამობრძმედილმა გოლიათმა ვერც კი მოასწრო გუნდთან შეთამაშება. ესტონელებთან აშკარად გამოჩნდა, რომ შონ ბრედლი ამოვარდნილია ანსამბლიდან და განსაკუთრებით დაცვაში მოიკოჭლებს. ეტყობა, ბრედლის ძალიან გაუჭირდა ნბა-დან ევროპულ კალათბურთზე გადაწყობა.

### D ჯგუფი

**საბერძნეთი 83:82 იტალია**

**საბერძნეთი: კალაიძისი (3), ხაძივრეტასი, პაპალუკასი (8), პაპანიკოლაუ (8), პაპადოპულოსი, სიგალასი (16), ფოცისი, ალვერტისი (11), დიკუდისი (4), კაკიუზისი (7), რენციასი (22), იანულისი (6)**

**იტალია: რადულოვიჩი (9), ბაზილე (13), გალანდა (2), ფუჩკა (21), მარკონატო (4), დე პოლი (6), ბეჩილე (13), მენეგინი (5), რიგეტი (2), მიანი (5), კიაჩიგი (2)**

ბრწყინვალე მატჩი იყო, რომლის კვანძი მხოლოდ საფინალო სირენასთან ერთად გაიხსნა. მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა იყო, განსაკუთრებით გამოსარჩევი კი ბერძენთა მხრიდან ეფტიმიოს რენციასი იყო, ხოლო იტალიელთაგან — ნაკრების დებიუტანტი ნიკოლა რადულოვიჩი. ბოლოსკენ თითქოს იტალიამ ძალა და დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე 8 ქულით დაწინაურდა. სირენამდე 25 წამით ადრე მიხალის კაკიუზისმა ანგარიში გაათანაბრა (80:80). მერე ბერძნები გრეგორ ფუჩკაზე დაჯარიმდნენ და მანაც ორივე საჯარიმო ჩააგდო. რჩებოდა ხუთი წამი — ელინელებმა ბურთის მეტოქის მოედანზე გადატანა მოასწრეს და გუნდის კაპიტანმა ფრაგისკოს ალვერტისმა ზუსტი სამქულიანით იტალიას გული მოუკლა, ხოლო დედა-საბერძნეთი დიდ სიხარულს მისცა.

**რუსეთი 83:63 ბოსნია**

**რუსეთი: ე. პაშუტინი (8), კუდელინი, ზ. პაშუტინი (12), პანოვი (4), მორგუნოვი (13), ჩიკალკინი (17), ბაშმინოვი (3), კირილენკო (26), სამოილენკო, მილოსერდოვი**

**ბოსნია: მარკოვიჩი (12), ფირიჩი (2), დ. მრშიჩი (3), ოვჩინა (9), ლერიჩი (11), ბუკიჩი (9), ოპაჩაკი (5), კოვაჩევიჩი (2), კრასიჩი (6), მუეძინოვიჩი (4), ტერზიჩი**

რუსეთის ნაკრებმა, რომელშიც ჩემპიონატის დაწყებამდე ყველაზე არამდგრადი სიტუაცია იყო და მისმა არაერთმა წევრმა იუარა ეროვნულ გუნდში თამაში, ჩინებული სტარტი აიღო.

ბოსნიელებს, რომლებიც ტიტულებით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ევროპის საკალათბურთო ფორუმის მუდმივი წევრები არიან, გუშინ რუსებმა თავს ლაფი დაასხეს და 83:63 მოუგეს.

რუსებმა თავიდანვე კარგად დაიწყეს, წინ გაიჭრნენ და მთელი თამაშის მანძილზე მეტოქე 10 ქულაზე ახლოს არ მიუშვიათ. ანდრეი კირილენკო მარტოდმარტო უსწორდებოდა ბალკანელებს. მას ყველაფერი გამოსდიოდა და მოწინააღმდეგის ფარში თავის გემოზე აჭედებდა ბურთებს. საბოლოოდ მის ანგარიშზე 26 ქულა დაგროვდა. კირილენკოს არც სერგეი ჩიკალკინი ჩამორჩა, რომელმაც 17 ქულა მოიხვეჭა. შეუდარებელი იყო რუსების უკანა ხაზიც. ძმებმა — ევგენი და ზახარ პაშუტინებმა ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნეს თავიანთი მეურვეები.

პარადოქსია, მაგრამ მატჩის შემდეგ რუსთა დამრიგებელი, სტანისლავ ერიომინი თავისი გუნდის თამაშით მთლად კმაყოფილი ვერ დარჩა: „ეს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებაა. ჩვენ სასურველ შედეგს მივაღწიეთ, თუმც გუნდის თამაშით უკმაყოფილო ვარ. ხვალინდელ მატჩში უნდა დავამტკიცოთ, რომ მართლაც ძლიერები ვართ".

რუსებს მომავალ მეტოქედ მართლაც, რომ სერიოზული გუნდი ჰყავთ. დღეს ერიომინის შეგირდები ბერძნებს შეერკინებიან.




თურქეთი — ლატვია. მირსად თურქჯანი (№6) ლატვიელ რაიტის გრაფსს გაურბის




REUTERS

ესპანეთი — სლოვენია. გორან იაგოდნიკი (მარცხნივ) ესპანელ ალფონსო რეიესს უცვარებს




REUTERS ბრისბენიდან

# რაფტერი ხელს აწერს

ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა მორიგი მატჩი მოიგო ფლეშინგ მიდოუსზე. მორიგი მსხვერპლი ბელგიელი კრისტოფ როშიუ იყო, რომელმაც პირველ სეტში თუ მოახერხა ბრძოლა და 5:7, 2:6, 1:6 წააგო. ავტოგრაფზე მონადირენი კი როგორც ყოველთვის, ახლაც გასაქანს არ აძლევენ ავსტრალიელ ჯიგარს და ამერიკის ღია პირველობის ლოგოთი დამშვენებულ სუვენირულ ბურთებზე აწერინებენ ხელს.




REUTERS ნიუ იორკიდან

# სიმძიმე და სიმსუბუქე

რაღაც ნამდვილად აქვს საერთო ამ ორ ფოტოს, ბრისბენიდან რომ გამოგზავნეს „როიტერის" ფოტოგრაფებმა. ეს ჯანიანი, სუპერმძიმე გოგო ამერიკელი ჩერილ ჰოვორთი გახლავთ, რომელსაც 127,5 კილოგრამიანი შტანგა უპყრია ხელთ. მან უკვე მოიგო ბრისბენში მიმდინარე კეთილი ნების თამაშების ოქროს მედალი. რუსი ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევა კი, თავის მხრივ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ჯერჯერობით წინასწარ შეჯიბრშია ჩაბმული. სიმძიმე და სიმსუბუქე... და მაინც რაღაც ნამდვილად აქვს საერთო ამ ორ ფოტოს.



REUTERS ბრისბენიდან



REUTERS სანტიაგოდან

# ზიზუ სასახლეში

ჩილეს დედაქალაქ სანტიაგოს, იქაურ ნაკრებთან ამხანაგური თამაშის გასამართად სწვევია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები. ფრანგები ზინედინ ზიდანის თამადობით თავად ქვეყნის პრეზიდენტს, რიკარდო ლაგოსს მიუღია თავის სასახლეში.

# ილზის გამოთხოვება

სწორედ დღეს, სიდნეის „სთედიუმ ოსტრალიაზე" სამი ერის გადამწყვეტი მატჩია რაგბის ორ მთავარ ნაკრებს შორის: ავსტრალიელები ახალზელანდიელებს შეერკინებიან. ოღონდ, ამ მატჩის მნიშვნელობა ეგებ დაჩრდილოს კიდეც სხვა, ნაღვლიანმა მოვლენამ. ოზთა კაპიტანი, ჯონ ილზი ნაკრებს ეთხოვება, ზურგზე კი 84 კეპის შემცველი ისტორია აქვს მოკიდებული. სურათზე ხედავთ, როგორ შედის ილზი თავის უკანასკნელ სანაკრებო პრესკონფერენციაზე. დღესაც და მორჩა.



REUTERS სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge